ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ

7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ

7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

თბილისი
2023

ანგარიშის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

ავტორები: ნინო ცუხიშვილი
თამარ ბოჭორიშვილი
იოსებ ედიშერაშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე

ინტერვიუებზე მუშაობდა: მაკა აბულაძე

რედაქტორი: ლია საიკვაძე

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ყდის დიზაინი: ლევან ქათამაძე

ანგარიშში გამოყენებულია „პუბლიკას“ და „რადიო თავისუფლების“ მიერ გადაღებული ფოტოები, რისთვისაც მათ საია მადლობას უხდის.
გარეკანის ფოტო - ზურაბ ცერცვაძე/AFP.

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

აბრევიატურები და შემოკლებები 5

შესავალი 6

მეთოდოლოგია 6

ანგარიშის შეჯამება 8

რეკომენდაციები 10

თავი 1 – შეკრების უფლების სამართლებრივი რეგულირება 12

1.1. შეკრების უფლების არსი და მნიშვნელობა 12

1.2. შეკრების უფლების შეზღუდვა და მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი 14

1.3. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობა შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მიღებისას 17

1.4. მედიასაშუალებების წარმომადგენლების სპეციალური დაცვის გარანტიები 23

თავი 2 – „რუსული კანონი“ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ (სამოქალაქო პროტესტის გამომწვევი მიზეზები) 26

თავი 3 – 7-9 მარტის აქციების დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა და გამოყენებული ძალის პროპორციულობა 31

3.1. ძალის გამოყენება 2023 წლის 7 მარტის 18:00 საათიდან 8 მარტის 04:00 საათამდე 32

ა) აქციის მონაწილეებთან წინასწარი მოლაპარაკებების/კომუნიკაციის მექანიზმის გამოუყენებლობა 32

ბ) სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძველი და წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების დაცვა 33

გ) სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ხანგრძლივობა 35

3.2. ძალის გამოყენება 2023 წლის 8 მარტის 15:00 საათიდან 9 მარტის 06:00 საათამდე 38

ა) აქციის მონაწილეებთან წინასწარი მოლაპარაკებების/კომუნიკაციის მექანიზმის გამოუყენებლობა 38

ბ) სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძველი და წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების დაცვა 38

გ) სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ხანგრძლივობა 39

თავი 4 – 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე მედიის წარმომადგენლებისთვის საქმიანობაში ხელშეშლა 41

თავი 5 – ადმინისტრაციული დაკავებების უკანონო პრაქტიკა
და დაკავების თანმხლები ძალადობა 43
5.1. მასობრივი უსაფუძვლო დაკავებების პრაქტიკა 44
5.2. დაკავების თანმხლები არასათანადო მოპყრობის შემთხვევები 46
5.3. დაკავების მიზეზები და დაკავებულთათვის უფლებების განმარტება, ზარის განხორციელების უფლება 48
5.4. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენასთან დაკავშირებული ხარვეზები 49
ა) არასწორად მითითებული დაკავების დრო 49
ბ) ადმინისტრაციული დაკავების განმახორციელებელი სამართალდამცავები - ოქმში მითითებული გაყალბებული ინფორმაცია 49
გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შინაარსის მითითებასთან დაკავშირებული ხარვეზები 50
5.5. დაკავების ვადის გახანგრძლივება 51
5.6. სასამართლოს მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე 51
ა) მტკიცებულებების მოსაპოვებლად არასაკმარისი დრო 51
ბ) სასამართლო პროცესის გამართვის დრო 52
გ) უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე 52
5.7. გამოყენებული სანქციები 54
5.8. პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავება 54

აბრევიატურები და შემოკლებები

ასკ	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ეუთო	ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
ნატო	ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
შსს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

შესავალი

ამ ანგარიშში საია აფასებს 2023 წლის 7-9 მარტის სამოქალაქო პროტესტთან დაკავშირებულ მოვლენებს როგორც აქციების დაშლის გადაწყვეტილებისა და გამოყენებული საშუალებების კანონიერების/პროპორციულობის კუთხით, ისე აქციების დაშლის დროს ადამიანის უფლებათა სხვა ტიპის დარღვევების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაარსებიდან 29 წლის განმავლობაში შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან დაკავშირებით არაერთ მნიშვნელოვან სამოქალაქო პროტესტს აკვირდებოდა. შესაბამისად, ორგანიზაცია ამზადებდა შეფასებებს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა დროს კონსტიტუციური და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევების თაობაზე, ასევე, გასცემდა რეკომენდაციებს, რათა გაუმჯობესებულიყო ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და მათ ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრების უფლებით ხელშეშლის, მასში მომეტებული ჩარევის, თავისუფალი გამოხატვისთვის სივრცის შევიწროების გარეშე.[1]

დასანანია, რომ, მიუხედავად საქართველოს მიმართ მსგავსი ტიპის საქმეებზე ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი არაერთი გადაწყვეტილებისა, შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებებისა თუ რეკომენდაციების არსებობისა, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული მართლმსაჯულების შედეგად გაუმჯობესებული უფლებრივი გარანტიებისა, ხელისუფლებას არ აქვს ნებელობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან აქციებზე, რომლებიც პოლიტიკურად უფრო მეტად მგრძნობიარე საკითხებს შეიძლება ეხებოდეს, პატივი სცეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს. სწორედ ეს კონსტიტუციური ღირებულებები ***„[...] მოითხოვს, რომ ქვეყნის სამართალი უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების სრული მოცულობით აღიარებასა და მათი დაცვის ყველა საჭირო გარანტიის შექმნას“.***[2] 2023 წლის მარტში ე.წ. აგენტების კანონპროექტების, კერძოდ კი, **საპარლამენტო უმრავლესობის მიერ რუსული სტილის საკანონმდებლო გზით უფლებადამცველებისა და მედიის დევნის მცდელობების წინააღმდეგ** მიმართული მასობრივი სამოქალაქო საპროტესტო აქციების დაშლის დროს გამოყენებული ძალაც სწორედ ზემოაღნიშნულის დადასტურებაა.

მეთოდოლოგია

ანგარიშში განხილულია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც წინ უძღოდა სამოქალაქო პროტესტს; გაანალიზებულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებული ადამიანის უფლებათა სტანდარტები; იდენტიფიცირებულია 7-9 მარტს აქციის დაშლის დროს მომხდარი ფაქტები. გარდა ამისა, დოკუმენტში შეფასებულია 2023 წლის 7-9 მარტს ხელისუფლების მიერ აქციების დაშლის გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა და პროპორციულობა, ადმინისტრაციული დაკავებებისა

[1] იხ. მაგალითად, საიას ანგარიშები: „26 მაისი, აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი“, 2011, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/AQYZ2 [23.09.2023]; „სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი,“ 2017, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/yCGM3 [23.09.2023]; „დაკარგული თვალის მიღმა - 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება“, 2019, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/pqT46 [23.09.2023].

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/466, 28.06.2010, II, 2.

და ამ დროს გამოყენებული ძალის კანონიერება და პროპორციულობა, ასევე, მედიის წარმომადგენლების საქმიანობაში ჩარევის შემთხვევები.

ანგარიშში მოცემული შეფასებები და დასკვნები ეყრდნობა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ერთობლივ ანალიზს. საკამათო ფაქტები აისახა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე რამდენიმე წყარო მიუთითებდა. ანგარიშში არ მოხვდა ცალკეული ფაქტები, რომელთა გადამოწმებაც საიამ, შეზღუდული მანდატის გათვალისწინებით, ვერ შეძლო. ანგარიშის მომზადებისას ორგანიზაცია, ძირითადად, ტრიანგულაციის („triangulation“) პრაქტიკას მიმართავდა, რაც სხვადასხვა ტიპის წყაროებისა და მეთოდების ერთდროულად გამოყენებას გულისხმობს, მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით.[3]

ანგარიშის მოსამზადებლად განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 3 სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობდა: ინფორმაციის მოპოვება, დოკუმენტირება და ანალიზი.

ინფორმაციის მოპოვებისა და დოკუმენტირების მიზნით:

- **საიამ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით** მიმართა სხვადასხვა უწყებას, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს, სახალხო დამცველის აპარატს, თბილისის მერიას, სსიპ – თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.
- **მედიამონიტორინგის მიზნით,** საიამ თხოვნით მიმართა ტელეკომპანიებს, მიეწოდებინათ მათ ეთერში გასული უწყვეტი კადრები. ანგარიშზე მუშაობისას ასევე გაანალიზდა სხვადასხვა ონლაინგამოცემის პირდაპირი ჩართვები და 7-9 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით ღია წყაროებში არსებული სხვა ინფორმაცია.
- **გაანალიზდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იმ საქმეთა მასალები**, რომლებსაც საია აწარმოებდა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა თანხმობა გამოთქვეს ანგარიშის მომზადების მიზნებისთვის ამ ინფორმაციის დამუშავებაზე. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაწილში საიამ ასევე შეისწავლა 47 საქმე, რომლებზეც დაკავებულთა ინტერესებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები წარმოადგენდნენ.
- **შემთხვევების შესწავლის მიზნით,** საიამ ჩაატარა 18 **ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ,** რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 11 დაზარალებული, 6 ადვოკატი, სახალხო დამცველის 1 წარმომადგენელი.

[3] საია, აკადემიური წერა, 2022, 14, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/pRW26 [23.09.2023]; ციტ. Mildred L. Patten and Michelle Newhart, Understanding Research Methods: An Overview of the Essentials (Routledge, 2017), 156; James D. Fearon and David D. Laitin, ‘Integrating Qualitative and Quantitative Methods’, in The Oxford Handbook of Political Methodology, ed. Janet M. Box-Steffensmeier, Henry E. Brady, and David Collier, vol. 1 (New York, Oxford University Press, 2009), https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199286546.003.0033.

ინფორმაციის ანალიზის მიზნით:

- **დოქტრინული კვლევა:** საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი.
- **დოქტრინული კვლევის შედეგების მისადაგება** ფაქტობრივ გარემოებებსა და მონაცემებთან.

ანგარიშის შეჯამება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებებმა 2023 წლის 7-9 მარტის აქციების დაშლის შესახებ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. კერძოდ, კერძოდ, აქციის მონაწილეების შეკრებისა და მანიფესტაციის მშვიდობიანად სარგებლობის უფლება არაერთგზის ჩარევის ლეგიტიმური მიზნის გარეშე და არაპროპორციულად განხორციელდა; ზოგ შემთხვევაში, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა დაძაბული ვითარების სათანადოდ მართვა, მათ შორის, არ ისარგებლა აქციის ორგანიზატორებსა ან მონაწილეებთან მოლაპარაკების რესურსით, რათა შეემცირებინა სპეციალური საშუალებების გამოყენების საჭიროება და აუცილებლობა. აქციის მონაწილეების დიდი უმრავლესობა მშვიდობიანად სარგებლობდა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ლოკალური ხასიათის სამართალდარღვევებზე რეაგირებას არსებითი გავლენა არ უნდა მოეხდინა მთლიანი აქციის მიმდინარეობაზე, ვინაიდან კონკრეტული ინციდენტების აღმოფხვრა შესაძლებელი იყო ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებით.

2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან **არაერთგზის დაირღვა** საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ვალდებულებები, რაც შემდეგ ქმედებებში გამოიხატა:

I. **ლოკალური ხასიათის დარღვევებზე ინდივიდუალური და შეზღუდული რეაგირების ნაცვლად, შსს-ს მიერ მშვიდობიანი აქციის დაშლის უკანონო გადაწყვეტილების მიღება;**

II. **ზოგიერთ შემთხვევაში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე სპეციალური საშუალებების გამოყენების დაწყება;**

III. **აქციის დაშლის ოპერაციის დროს და, შესაბამისად, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას, სამართალდამრღვევი და მშვიდობიანი მონაწილეების ერთმანეთისგან გამიჯვნის ვალდებულების დარღვევა;**

IV. **სპეციალური საშუალებების ერთდროულად და პარალელურად გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით;**

V. **სპეციალური საშუალებების უკანონოდ და არაპროპორციული ძალით გამოყენება („წიწაკის სპრეის“ სახეში შესხმა, წყლის ჭავლის, ასევე, ცრემლსადენი გაზის კაფსულების დამიზნებით სროლა);**

VI. **აქციის მშვიდობიანი მონაწილეების სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური ძალის გამოყენება, უკანონო და მასობრივი დაკავება;**

VII. **მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა.**

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მომეტებულ შეზღუდვას ასევე ხელს უწყობდა ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა. 7-9 მარტის აქციების დაშლისას გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და მის საფუძველზე წარმოებული დაკავებები/სასამართლო პრაქტიკა კვლავაც ინსტრუმენტია, რათა სამოქალაქო უფლებების განხორციელების სივრცე კიდევ უფრო შეიზღუდოს. კერძოდ:

VIII. **გამოვლინდა მასობრივად ადამიანების უკანონო დაკავების შემთხვევები: სამართალდამცავები უმეტესად აკავებდნენ არა კონკრეტულ სამართალდამრღვევ პირებს, არამედ ზოგჯერ მათაც, ვინც აქციის დაშლის ოპერაციისას, უბრალოდ, „ხელში მოჰყვებოდათ“.**

IX. **პრობლემურია დაკავებულთათვის კანონით მინიჭებული უფლებების განმარტების საკითხიც. დამკავებელი პირები მათ, უმეტესად, არ აცნობდნენ უფლებებს, ზოგ შემთხვევაში კი დაკავებულებს არ მიეცათ ახლობლებსა და ადვოკატებთან დაკავშირების შესაძლებლობა.**

X. **დაკავების ოქმების შევსებასთან დაკავშირებით შეინიშნებოდა ხარვეზები. არაერთ ოქმში არასწორად იყო მითითებული დაკავების დრო და დამკავებელი პირების მონაცემები.**

XI. **შსს დაკავების 24-საათიან ვადას უსაფუძვლოდ აგრძელებდა დამატებით 24 საათით და სათანადოდ არ ასაბუთებდა, ამისთვის რა ობიექტური საჭიროება არსებობდა.**

XII. **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა დაცვის მხარისთვის იყო მტკიცებულებების მოსაპოვებლად არასაკმარისი ვადის მიცემა. ასევე, სხდომები ტარდებოდა არასამუშაო საათებში და ზოგჯერ დაცვის მხარე არ იყო ინფორმირებული მისი დაწყების დროსთან დაკავშირებით.**

XIII. **საქმის მასალების და სასამართლოს დადგენილებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასამართლო არ არის მოტივირებული, ბრალდების მხარეს მოსთხოვოს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, სამხრე კამერის ჩანაწერი), ან მოიხმოს ნეიტრალური მოწმე. ასევე, დადგენილებებში, უმეტესად, დაკონკრეტებული არ არის რაში გამოიხატებოდა პოლიციის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამი ან/და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლა.**

XIV. **სასამართლო უმეტესად სამართალდამრღვევებად ცნობდა პირებს და, ძირითადად, სანქციის სახით იყენებდა ჯარიმას.**

XV. **საქმის მასალებიდან გამოიკვეთა პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავების ფაქტები.**

კვლავ საგანგაშოა, რომ აქციის დაშლის თუ ადმინისტრაციული დაკავებების დროს დემონსტრანტების ნაწილი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, რაც გამოიხატებოდა როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემური იყო ერთჯერადი ხელბორკილის გამოყენების პრაქტიკაც.

რეკომენდაციები

იმისთვის, რომ მომავალში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებებმა და ქმედებებმა მნიშვნელოვნად აღარ დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მშვიდობიანი შეკრების უფლება, ამასთანავე, აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფების მიერ სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში, არაპროპორციული და ზოგჯერ უკანონო ღონისძიებების გატარებით არსებითად აღარ შეილახოს შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების დიდი უმრავლესობის უფლებები, მნიშვნელოვანია, ქვემოთ ჩამოთვლილ უწყებებს მიეცეთ შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

1. მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გაასაჯაროოს შემუშავებული და დამტკიცებული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა აქციის მართვის/დაშლის შესახებ;
2. აქციის მიმდინარეობისას დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით, დროულად გამოიყენოს კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და დიალოგის რესურსი;
3. აქციის დაშლისას მყისიერი საფრთხის გამომრიცხავ გარემოებებში უზრუნველყოს სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე გაფრთხილება კანონით დადგენილი ფორმით;
4. სამართალდამცავებს მიეცეთ მკაცრი მითითება აქციის მშვიდობიანი და სამართალდამრღვევი მონაწილეების ერთმანეთისგან გამიჯვნის აუცილებლობის თაობაზე, ხოლო ლოკალური და ინციდენტური ხასიათის შემთხვევებზე რეაგირებისას მხოლოდ სამართალდამრღვევთა მიმართ გამოიყენონ ინდივიდუალური და პროპორციული საშუალებები;
5. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მიეცეთ მკაცრი მითითება სპეციალური საშუალებების წესების დაცვით გამოყენების თაობაზე;
6. უზრუნველყოს სამართალდამცავების მიერ სპეციალური საშუალებების წესების დაცვით გამოყენების ზედამხედველობა;
7. უზრუნველყოს თანამშრომელთა მომზადება მედიის წარმომადგენლების ფუნქციის, პასუხისმგებლობისა და უფლებების შესახებ, განსაკუთრებით კი, აქციების დროს მათი როლის თაობაზე. ეს ხელს შეუწყობს სამომავლოდ აქციის დაშლის დროს ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლის პრევენციას;
8. უზრუნველყოს სათანადო სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი სწავლების ჩატარება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებისთვის აქციის დაშლის დროს დემონსტრანტებისგან მედიის წარმომადგენლების გასამიჯნად;
9. შეკრებებში მონაწილეთა დაკავება განხორციელდეს მხოლოდ კანონიერი საფუძვლების არსებობისას, გადამეტებული ძალის გამოყენების გარეშე;
10. აწარმოოს რობოკოპის აღჭურვილობის მკაცრი აღრიცხვა, რათა შესაძლებელი გახდეს იმ სამართალდამცავთა იდენტიფიცირება, რომლებმაც სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტეს;
11. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებში მოხდეს სამართალდარღვევის ფაქტის დეტალური აღწერა;

12. ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების იზოლატორში მოთავსების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათ ჩაუტარდეთ შესაბამისი სამედიცინო შემოწმება;

13. პოლიციის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ გადამზადება ადმინისტრაციული წესით დაკავების წინაპირობების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დოკუმენტაციის მომზადებისა და დაკავებულ პირებთან შესაბამისი კომუნიკაციის თაობაზე;

14. ერთჯერადი პლასტმასის ხელბორკილის (ცალუღის) დადებისას სამართალდამცავმა დაკავებული პირი გააფრთხილოს, რომ ძალდატანებამ/წინააღმდეგობის გაწევამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ხელბორკილის შევიწროება ან სხეულის დაზიანება. ამასთან დაკავშირებით შემუშავდეს შესაბამისი პროტოკოლი.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

15. უზრუნველყოს სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების შემთხვევების, მათ შორის, მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და, არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ;

16. უზრუნველყოს თვითნებური დაკავებების, დაკავებულთა მიმართ ფიზიკური ძალადობის და სხვა გარემოებების სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.

საქართველოს პარლამენტს:

17. განხორციელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური რეფორმა, რომლის შედეგად, არსებული კანონმდებლობა შეიცვლება კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ახალი კოდექსით და დასრულდება მისი გამოყენების პრაქტიკა პოლიტიკური მიზნით, საპოლიციო რეჟიმის ინსტრუმენტად;

18. გაუქმდეს ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციის სახე;

19. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის ბუნების გადაცდომებზე გავრცელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისთვის გარანტირებული უფლებები.

სასამართლოს:

20. მოსამართლეებმა გონივრული ვადა დაუთმონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას;

21. მოსამართლეებმა უარი თქვან მხოლოდ პოლიციელთა მიერ წარდგენილ ოქმებსა და მათ ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით პირის სამართალდამრღვევად ცნობის პრაქტიკაზე და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც მტკიცებულებათა ერთობლიობით არ დადასტურდება, გადაწყვიტონ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სასარგებლოდ.

თავი 1

შეკრების უფლების სამართლებრივი რეგულირება

ამ ანგარიშის მიზნებისთვის, ვიდრე 7-9 მარტის აქციის დაშლის ოპერაციასთან დაკავშირებულ გარემოებებს შევაფასებდეთ, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ საქართველოს კანონმდებლობაში შეკრების უფლების სამართლებრივი რეგულირება. ამისთვის, ეს თავი ოთხ ქვესაკითხს აერთიანებს: შეკრების უფლების არსი და მნიშვნელობა; შეკრების უფლების შეზღუდვა და მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი; სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობა შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მიღებისას; მედიასაშუალებების წარმომადგენელთა სპეციალური დაცვის გარანტიები.

1.1. შეკრების უფლების არსი და მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების უფლება. კერძოდ, *„ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება“.*[4] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ *„შეკრება არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით“*,[5] ხოლო *„მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით“*.[6] შეკრების უფლებით დაცული სფერო გულისხმობს როგორც მასში მონაწილეობის, ისე მისი ორგანიზების უფლებას.[7]

---

[4] საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[5] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

[6] იქვე, „ბ“ პუნქტი.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №2/482,483,487, 502, საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა

შეკრების უფლების, როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმის, რეალიზაცია დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ხელს უწყობს კოლექტიური აზრის გამოხატვასა და ადამიანების მონაწილეობას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გადაწყვეტაში.[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეკრების უფლებას გამოხატვის თავისუფლებასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს,[9] კერძოდ: *„შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას უწყობს ხელს. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით შეკრების შესაძლებლობა დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობისა და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს“.*[10]

შეკრება ემსახურება კონკრეტული იდეის გავრცელებას, აზრის ან ინფორმაციის გაზიარებას და მის მხარდაჭერას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან ფართო საზოგადოების წინაშე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას ორი თანაბრად მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს: ა) უფლების რეალიზაციის ფორმალური მხარე და ბ) კონკრეტული იდეა, რომელსაც ის ემსახურება.[11] შესაბამისად, შეკრებასა და მანიფესტაციას კონსტიტუციით დაცულ უფლებად სწორედ მისი მიზანი და შინაარსი აქცევს.[12]

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაცია გულისხმობს პოლიტიკური საქმიანობით განპირობებული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის და აპოლიტიკური ხასიათის შეკრებების გამართვის უფლებას.[13] გარდა ამისა, შეკრების უფლება მოიცავს ასევე მისი გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას.[14] ამასთანავე, შეკრების უფლებით დაცული სფერო ვრცელდება მასში მონაწილეობის, ასევე მისი ორგანიზების უფლებებზე.[15]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება შეკრების უფლების ეფექტიანი რეალიზაციის პროცესში. ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ხელი არ შეუშალონ მშვიდობიან შეკრებას და ჩაერიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის კანონით დადგენილ ფარგლებს სცდება.[16] პოზიტიური ვალდებულება კი მოითხო-

---

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სამოტივაციო ნაწილი, მე-4 პუნქტი.

[8] ავტორთა კოლექტივი (რედ: პ. ტურავა), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 281.

[9] ავტორთა კოლექტივი (რედ. ზაალ ჩხეიძე), ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 316.

[10] იხ. სქოლიო 4. პარ. II. 25.

[11] იხ. სქოლიო 4, 128-ე პუნქტი.

[12] იხ. სქოლიო 5, გვ. 284.

[13] იხ. სქოლიო 4. პარ. 127.

[14] იხ. სქოლიო 4, პარ. 34, 35.

[15] იხ. სქოლიო 4. პარ. 127.

[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება თავისუფალი საქართველო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, მე-8 პარაგრაფი.

ვს, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს შეკრების უფლების რეალიზაციას და უზრუნველყოს ამ უფლების მშვიდობიანი განხორციელება, კერძოდ, მიიღოს სათანადო და აუცილებელი ზომები შეკრების მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად.[17] შესაბამისად, შეკრების უფლების განხორციელებისას სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც უფლებაში ჩარევის სიმძიმეს, ასევე მისი მხარდაჭერისთვის აუცილებელი და სათანადო ღონისძიებების გამოყენების მასშტაბებს.

1.2. შეკრების უფლების შეზღუდვა და მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, შეკრების უფლებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კანონსაწინააღმდეგო სახეს მიიღებს.[18] სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის უკიდურესი ფორმა შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტაა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვროს შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის ძირითადი სტანდარტები, რათა სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მნიშვნელოვნად შემცირდეს. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ამ კუთხით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ტერმინი „მშვიდობიანი“ იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მოიცავდეს ქმედებებს, რომლებიც, შესაძლოა, ვინმეს აღიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს, აგრეთვე, დროებით აფერხებდეს ან ხელს უშლიდეს მესამე პირთა აქტივობებს.[19] საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეკრება მშვიდობიანად უნდა ჩაითვალოს, თუ მისი ორგანიზატორები მშვიდობიან ზრახვებს ავლენენ და შეკრების მონაწილეთა ქცევა არაძალადობრივია.[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, შეკრების უფლება გულისხმობს მისი მშვიდობიანად განხორციელების პრეზუმფციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა აშკარა და ხილული მტკიცებულება, რომ ორგანიზატორები ან მონაწილეები უეჭველად აპირებენ ძალადობის გამოყენებას, ძალადობისკენ მოწოდებას ან მის გამოწვევას.[21] ამასთანავე, ასეთ პირობებში მონაწილეთა მცირე ჯგუფის მხრიდან ძალადობა ავტომატურად არ აქცევს სხვაგვარად მშვიდობიან აქციას არამშვიდობიანად.[22]

---

[17] Öllinger v. Austria, App no. 76900/01, (ECHR. 2006), პარ. 35.

[18] საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[19] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 26.

[20] იქვე, პარ. 1.3.

[21] Kudrevičius and Others v. Lithuania, Application no. 37553/05, ECHR (2015), პარ. 92. „შეკრების თავისუფლებით არ არის დაცული იმგვარი შეკრებები, რომელთა მონაწილეებსაც ძალადობრივი ზრახვები აქვთ, ძალადობისკენ მოუწოდებენ ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს. Cisse v. FRANCE, Application no. 51346/99, ECHR (2002), პარ. 37. „მხოლოდ იმგვარი ღონისძიებები არ მიიჩნევა მშვიდობიან შეკრებად, რომელთა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული აქვთ ძალადობა“.

[22] Christian Democratic People's Party v. Moldova (No.2), ECHR (2010), პარ. 23.

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს და მისი შეწყვეტის საფუძვლებს შემდეგ შემთხვევებში ადგენს:[23]

- შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნების მასობრივად დარღვევა (კანონსაწინააღმდეგო მოწოდება და ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე; კანონსაწინააღმდეგო საგნების ან/და ნივთიერებების ქონა და გამოყენება);
- შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის დარღვევა (ტრანსპორტის სავალი ნაწილის თვითნებური, ნაწილობრივი ან სრულად გადაკეტვა).

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ ამ უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს: ა) საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით დაცული სიკეთეების მიღწევისკენ მიმართული;[24] ბ) კანონით გათვალისწინებული; გ) დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი; დ) არადისკრიმინაციული; ე) პროპორციულად შემზღუდველი; ვ) ისეთი, რომ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრების უფლებაზე დაწესებული ფორმალური შეზღუდვები (შეკრების ადგილი, დრო და ა.შ.) არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული, შესასრულებლად მძიმე და არსებითად აზრს არ უნდა უკარგავდეს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების რეალიზებას.[26] შინაარსობრივი შეზღუდვების დაწესებისას კი სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მკვეთრად დავიწროებულია, შესაბამისად, ის ლეგიტიმური მიზნების მიღწევის თანაზომიერი საშუალება უნდა იყოს.[27]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები: *„ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო ორგანოების მხრიდან უნდა არსებობდეს საფრთხის პროგნოზი შესაძჩნევი გარემოებებით, რაც უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს, საქმის გარემოებებსა და სხვა დეტალებს. თუ გავითვალისწინებთ შეკრების თავისუფლების მნიშვნელობას, ეჭვი ან ვარაუდი არ უნდა გახდეს შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლის საფუძველი. სახელმწიფო ორგანომ, განსაკუთრებით, პრევენციული აკრძალვის დროს, არ უნდა გამოიყენოს საშიშროების პროგნოზის შეფასებისადმი ძალიან მსუბუქი კრიტერიუმები, მით უმეტეს, რომ მცდარი შეფასების შემთხვევაში კვლავ რჩება მისი მოგვიანებით დაშლის შესაძლებლობა“.*[28] შეკრებებისა და მანიფესტაციების მშვიდობიან ხასიათს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეკრების მონაწილეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, მათ შორის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების ან/და სახელმწიფო ინსტიტუ-

[23] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

[24] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი: „უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

[25] შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

[26] იხ. სქოლიო 4. პარ.28.

[27] იხ. სქოლიო 4. პარ. 29.

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება, პარ. 10.

ტების შეუფერხებელი ფუნქციონირება. მოცემულ შემთხვევაში, შეკრების და მანიფესტაციების მონაწილეების მიერ ამ ობიექტების ან/და შენობების შესასვლელების ბლოკირებამ ან/და დაკავებამ, შესაძლოა, შეაფერხოს მათი ფუნქციონირება. საქართველოს კანონმდებლობით, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში, ასევე, მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე: ა) საქართველოს პროკურატურის, პოლიციის, პენიტენციური დაწესებულებებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობები; ბ) რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები.[29] გარდა ამისა, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში და მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე; სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, ასევე მათი შესასვლელებიდან ასი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.[30] ამასთანავე, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის დროს შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება.[31]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *„მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“*[32] იმსჯელა შეკრების მონაწილეების მიერ პარლამენტის შენობის შესასვლელების ბლოკირების საკითხზე, კერძოდ - იმ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად შეაფერხებდა შენობის შესასვლელების ბლოკირება პარლამენტის ეფექტიან ფუნქციონირებას და რამდენად იყო ეს ქმედება დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების დამაზიანებელი. სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი იცავს ნებისმიერ შეკრებას, რომელიც არ არის ძალადობრივი ან მისი მონაწილეები არ აპირებენ ძალადობრივი ქმედებების ჩადენას.[33] სასამართლომ მიუთითა, რომ „მშვიდობიან შეკრებას“ კონვენციის მიზნებისთვის აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და არ გამომდინარეობს ეროვნულ კანონმდებლობაში დადგენილი აკრძალვების ან პროცედურებისგან.[34] შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ შეკრების მონაწილეების მიერ გამოხატვის დამაზიანებელი ფორმების გამოყენება, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება დაცული იყოს მშვიდობიანი შეკრების ფარგლებში.[35]

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა, რომ შეკრების მონაწილეებს არ ჩაუდენიათ და არც გეგმავდნენ ძალადობრივ ქმედებებს. გარდა ამისა, სასამართლოს შეფასებით, იმის მიუხედავად, რომ შეკრების მონაწილეების მიერ პარლამენტის შენობის ბლოკირება იყო მათი პოლიტიკური გამოხატვის მწვავე ფორმა, იმ კონკრეტულ შემთხვევაში ის არ იყო დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების დამაზიანებელი და, პირიქით, ხელს უწყობდა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას.[36] შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეკრების მონაწილეების ქმედებები ექცეოდა კონვენციის მე-11 მუხლის (მშვიდობიანი შეკრების უფლება) ფარგლებში და მათი შეზღუდვის საკითხი უნდა განხილულიყო თანაზომიერების, ანუ პროპორციულობის ტესტის საფუძველზე.[37]

[29] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[30] იქვე, მე-2 პუნქტი.
[31] იქვე, მე-3 პუნქტი.
[32] Makarashvili and others v Georgia, applications nos. 23158/20, 31365/20, 32525/20, Judgment of ECHR, 30.01.2023.
[33] იქვე, პარ. 90.
[34] იქვე, პარ. 91.
[35] იქვე, პარ. 91.
[36] იქვე, პარ. 92.
[37] იქვე, პარ. 93.

1.3. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობა შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მიღებისას

შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მიღებისას ხელისუფლების მხრიდან ჩარევა მოითხოვს ინდივიდუალურ და პროპორციულ მიდგომას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეკრების მონაწილეთა უფლებებისა და კერძო ან საჯარო ინტერესების გონივრული ბალანსი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, *„შეკრების შეწყვეტა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქმედების განხორციელების შემდგომ. ჯერ უნდა დადასტურდეს, რომ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო და ამის შემდეგ არის შესაძლებელი, გამოყენებული იყოს შეწყვეტის საშუალებები“.*[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აქციის შეზღუდვის ან შეწყვეტის საშუალებების გამოყენებისას *„ხელისუფლების დისკრეცია შემოიფარგლება სხვათა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების აღდგენის აუცილებლობით. ხელისუფლება უფლებამოსილია, ჩაერიოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციაში, როდესაც უფლებებს შორის არსებული კონფლიქტის გადაჭრის სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალება არ არსებობს, ან როდესაც ის უშედეგო აღმოჩნდება, ან აშკარაა, რომ ის არ იქნება ეფექტიანი“.*[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ *„შეკრების აკრძალვა ან ძალისმიერი დაშლა არის უკიდურესი საშუალება მას შემდეგ, რაც სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალებების გამოყენება შედეგს ვერ გამოიღებს“.*[40]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეკრების კოლექტიური ხასიათის მიუხედავად, მისი უფლების რეალიზაციას ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს. შეკრებაში მონაწილე ცალკეული პირების ან მცირე ჯგუფის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების მიერ ამ უფლების პრაქტიკაში განხორციელებას.[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, შეკრების უფლების შეზღუდვისას სახელმწიფო ვალდებულია, ერთმანეთისგან განასხვაოს შეკრების მშვიდობიანი და არამშვიდობიანი მონაწილეები, რადგან ამ უფლების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს მხოლოდ ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პირები კარგავენ.[42] ევროპული სასამართლო ასევე ადგენს, რომ სამართალდამცავები ერთგვაროვნად არ უნდა მოეპყრონ შეკრების მონაწილეებს დაკავებისას ან ძალის გამოყენებით შეკრების დაშლისას.[43] აქციის იმ მონაწილეთა მიმართ ძალის გამოყენება, რომლებიც წინააღმდეგობის გამწევთა რიგებში არ არიან, არ არის გამართლებული, იმის მიუხედავად, რომ დემონსტრანტების მცირე ჯგუფი შეიძლება პოლიციას უპირისპირდებოდეს.[44]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამართალდამცავმა პირებმა შეკრებისა და მანიფესტაციის დროს ძალის გამოყენებისას შემდეგი პრინციპების დაცვით უნდა იმოქმედონ:[45]

---

[38] იხ. სქოლიო 25. პარ. 10.

[39] იხ. სქოლიო 4. პარ. 49.

[40] იქვე.

[41] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 18.

[42] Ziliberberg v Moldova, Application no. 61821/00, ECHR (2004), „ინდივიდები არ წყვეტენ შეკრების თავისუფლებით სარგებლობას შეკრების მიმდინარეობისას სხვათა მხრიდან სპორადული ძალადობის ან სხვაგვარი დასჯადი ქმედების ჩადენის შედეგად, თუ თავად ხსენებული ინდივიდები ინარჩუნებენ მშვიდობიან ზრახვებს ან ქცევას“.

[43] Ziliberberg v Moldova, Application no. 61821/00, ECHR (2004), para. 10.

[44] Izci v Turkey, application no. 42606/05, ECHR (2013).

[45] Amnesty International Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials, 2015, გვ. 17-21.

- **კანონიერება**

ეროვნულ კანონმდებლობასა და სამართალდამცავი ორგანოების შიდა რეგულაციებში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ძალის გამოყენების საფუძვლები, სპეციალური საშუალებები და მათი გამოყენების წესი, რათა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები არ იყოს ფართო.

- **აუცილებლობა**

ძალის გამოყენების აუცილებლობა ფასდება სამი კომპონენტის მიხედვით: ა) ხარისხობრივი - არის თუ არა ძალის გამოყენება აუცილებელი და შესაძლებელია თუ არა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სხვა საშუალებებით; ბ) რაოდენობრივი - რა რაოდენობის ძალა უნდა იყოს გამოყენებული მიზნის მისაღწევად (სასურველია, რომ შედეგის მიღებას მინიმალური ძალის გამოყენება დასჭირდეს); გ) ხანგრძლივობა - ძალის გამოყენებას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი. ის დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, როდესაც მიზანი მიიღწევა, ან ნათელია, რომ მისი მიღწევა აღარ არის შესაძლებელი.

- **პროპორციულობა**

პროპორციულობის პრინციპით ფასდება ძალის გამოყენებით მიღწეული მიზნისა და შედეგის თანაფარდობა. სამართალდამცავების მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობა გულისხმობს შეკრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთის ფარგლებში.

- **ანგარიშვალდებულება**

ანგარიშვალდებულების პრინციპი გულისხმობს, რომ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია არა მხოლოდ სამართალდამცავი პირი (უშუალო განმახორციელებელი), არამედ მათი ხელმძღვანელიც (ბრძანების გამცემი), ასევე სამართალდამცავი ორგანოს მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ შეკრების მართვის სტრატეგიის დაგეგმვასა და მომზადებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობა იცავს მხოლოდ მშვიდობიან შეკრებებს, მონაწილეებს შეიძლება აეკრძალოთ იარაღისა და მისი მსგავსი ნივთების ტარება შეკრების ტერიტორიაზე. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამართალდამცავმა ორგანოებმა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება გააკონტროლონ ასევე ამ ტერიტორიაზე მონაწილეთა შესვლა, რაც შეკრების მართვის ერთ-ერთი სტრატეგიაა.[46] გარდა ამისა, ხელისუფლებამ შეიძლება დააწესოს საკონტროლო პუნქტები, რათა შეამოწმოს, ატარებენ თუ არა მონაწილეები იარაღს ან კანონმდებლობით აკრძალულ სხვა ნივთებს, თუკი არსებობს მსგავსი ეჭვისთვის საკმარისი საფუძველი და შესაბამისი მტკიცებულება.[47] საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა შეკრების მონაწილეები უნდა შეამოწმონ ინდივიდუალური, გონივრული ეჭვის საფუძველზე, ისე, რომ ნებისმიერი ან ყველა მონაწილე არ იყოს მიჩნეული ეჭვმიტანილად, ვინაიდან ამგვარ მიდგომას ექნება „მსუსხავი

[46] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020 წ. გვ. 45.

[47] Venice Commission and OSCE/ODHIR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 3rd Edition, CDL-AD (2019)017, available at: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017rev-e; para 154, p. 60.

ეფექტი“ შეკრების უფლების განხორციელებაზე.[48] გარდა ამისა, ხელისუფლებამ ყოველთვის უნდა განასხვაოს საგნები, რომლებიც, ზოგადად, აღიარებულია იარაღად და საგნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასეთად არ განიხილება, თუმცა ზოგჯერ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც იარაღი. ასეთი საგნები შეკრების დროს უნდა იყოს ნებადართული, თუ არ არსებობს მკაფიო მითითებები, რომ ისინი ძალადობის მიზნით იქნება გამოყენებული.[49] ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან, გაატარონ საპოლიციო ღონისძიებები, რომლებიც შეკრების ტერიტორიაზე აკრძალული ან კანონსაწინააღმდეგო ნივთების შეტანის ან/და გამოყენების პრევენციას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინონ მისი გავლენის მასშტაბი და შესაძლო შედეგები. იმ შემთხვევაში, თუ შეკრების მონაწილეთა მცირე ჯგუფი სჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ან ეს ძალადობრივი ქმედებები არის იზოლირებული და მსუბუქი ხასიათის, სამართალდამცავების მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენებამ, შესაძლოა, შეკრების მონაწილეთა პროვოცირება გამოიწვიოს და მძიმე სახის დარღვევებისკენ უბიძგოს.[50] შესაბამისად, სამართალდამცავებმა უნდა გაატარონ ნაკლებად შემზღუდველი და პრევენციული ღონისძიებები, ამასთანავე, შეკრების მონაწილეთა ქმედებებთან დაკავშირებით უნდა გამოავლინონ ტოლერანტობის გონივრული ხარისხი.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ წყლის ჭავლის, როგორც სპეციალური საშუალების, გამოყენება მიზანშეწონილი და პროპორციულია იმ შემთხვევაში, როდესაც შეკრების მონაწილეთა ძალადობრივი ან არაკანონიერი ქმედებების აღკვეთა არ არის შესაძლებელი კონკრეტულ სამართალდამრღვევთა ქმედებების შეზღუდვით და მათი გარიდების გზით.[51] გარდა ამისა, ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა წყლის ტემპერატურა და გარემო პირობები, გამოყენების სიხშირე, მასშტაბი და ა.შ. მისი გამოყენება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, როდესაც შეკრების მონაწილეები შეწყვეტენ ძალადობრივ ქმედებებს ან გაიფანტებიან.[52]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ქიმიური გამაღიზიანებელი ნივთიერებების (ცრემლსადენი, წიწაკის გაზი, ხელყუმბარები ან არალეტალური ჭურვები) გამოყენებას აქვს განურჩეველი ეფექტი, რაც მშვიდობიანი დემონსტრანტების დაზიანების მაღალ ალბათობას ქმნის. ასევე, მაღალია მისი თვითნებურად გამოყენების რისკი.[53] გარდა ამისა, მათი მიზანი უნდა იყოს მხოლოდ ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პირების გაფანტვა. ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში, შეკრებაში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი სივრცე და შესაძლებლობა გადაადგილებისთვის.[54] ეროვნული კანონმდებლობით მკაცრად უნდა იყოს დადგენილი და მაქსიმალურად შეიზღუდოს ქიმიური გამაღიზიანებელი ნივთიერებების ფართო ტერიტორიაზე გამოყენება. ის დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკრების მონაწილეთა დიდი უმრავლესობა

[48] იქვე.
[49] იქვე.
[50] Amnesty International Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials, 2015, გვ. 17-21.
[51] იქვე, გვ. 158.
[52] იქვე, გვ. 159.
[53] იქვე, გვ. 21.
[54] იქვე, გვ. 154.

სჩადის ძალადობრივ ქმედებებს და მათი შეკავება სხვა ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებებით არ არის შესაძლებელი.[55]

შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ქიმიური გამაღიზიანებელი ნივთიერებების განზოგადებული და გადაჭარბებული გამოყენება, რაც, დიდწილად, გავლენას ახდენს მშვიდობიან მონაწილეებზე, არაპროპორციულია.[56] აუცილებელია მათი დაუყოვნებლივ შეწყვეტა, როგორც კი შეკრების მონაწილეები შეწყვეტენ ძალადობრივ ქმედებებს ან გაიფანტებიან.[57]

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ საპოლიციო ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, საფრთხის თავიდან აცილებისა ან აღკვეთის მიზნით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მათ შორისაა: ა) პირის გამოკითხვა; ბ) იდენტიფიცირება; გ) პირის მოწვევა; დ) ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; ე) სპეციალური შემოწმება და დათვალიერება; ვ) სპეციალური საპოლიციო კონტროლი; ზ) ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; თ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა; ი) ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება; კ) ტექნიკური საშუალებების შექმნა და გამოყენება; ლ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება.[58] ეს საპოლიციო ზომები შეიძლება გამოყენებული იყოს შეკრებისა და მანიფესტაციის მართვის მიზნებისთვის, მათ შორის, შეკრების ტერიტორიაზე მონაწილეების შესვლისას, შეკრების მიმდინარეობის პროცესში და დასრულების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი საპოლიციო ღონისძიებების გამოყენება, როგორებიცაა ზედაპირული შემოწმება, დათვალიერება, ადგილის დატოვების მოთხოვნა, კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა და ა. შ.

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პირის ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება გულისხმობს მისი ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით, სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით შეხებას.[59] პოლიციელი უფლებამოსილია, პრევენციული ღონისძიების განხორციელების ფარგლებში, ზედაპირული შემოწმების მიზნით, შეაჩეროს პირი, თუ: ა) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას თან აქვს ნივთი, რომლის გადატანაც შეზღუდულია ან საფრთხეს უქმნის მის ან სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[60] მოცემული ნორმა შეკრების მიზნებისთვის აქტუალურია, რადგან შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი ადგენს იმ ნივთების ჩამონათვალს, რომელთა ქონაც მონაწილეებს ეკრძალებათ.[61] პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციელი

[55] იქვე, გვ. 157.
[56] იქვე, გვ. 158.
[57] იქვე, გვ. 158.
[58] პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[59] იქვე, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[60] იქვე, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[61] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი. შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ: ა) იქონიონ ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი; ბ) იქონიონ ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებული იყოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით; გ) იქონიონ ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/ და მომწამვლელი ნივთიერება; დ) იქონიონ ალკოჰოლიანი სასმელები.

უფლებამოსილია, პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება, ან აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.[62] ეს შეზღუდვა, შესაძლებელია, გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე.[63]

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ პასიური და აქტიური სპეციალური საშუალებების ჩამონათვალს, რომლებსაც პოლიციელი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის მიზნებისთვის იყენებს.[64] კანონის თანახმად, პასიური სპეციალური საშუალებები უზრუნველყოფს პოლიციელის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ასეთია, მაგალითად: ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინაღი და სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები.[65] აქტიური სპეციალური საშუალებები პირს მოკლე ვადით უსპობს პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს, ან/და პოლიციელს ეხმარება საპოლიციო ფუნქციის შესრულებაში. ესენია: ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი), ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენი, ელექტროშოკური მოწყობილობა და შესაბოჭი ბადე.[66] საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური საშუალებების ჩამონათვალი შეესაბამება ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ გამოცემული დოკუმენტით - ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ - განსაზღვრულ სპეციალურ საშუალებებს.[67]

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია თითოეული სპეციალური საშუალების გამოყენების გარემოებები და საფუძვლები, რამდენიმე მათგანის გამოყენება ერთი და იმავე საფუძვლით არის შესაძლებელი, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ანიჭებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, კონკრეტულ შემთხვევაში შეარჩიონ სპეციალური საშუალება. აქედან გამომდინარე, არსებობს არათანაზომიერი/არაპროპორციული გადაწყვეტილების მიღების მაღალი რისკი.[68] ამიტომ, საჭიროა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს გააჩნდეთ სათანადო კომპეტენცია და პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა დროის მოკლე მონაკვეთში მიიღონ გადაწყვეტილება გამოსადეგი, აუცილებელი და საკმარისი ძალის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანება განსაზღვრავს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციას. დოკუმენტის თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის დროს მუშავდება უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, რომელსაც

[62] პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[63] იქვე, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[64] იქვე, 33-ე მუხლი.
[65] იქვე, 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[66] იქვე, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[67] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 87-105.
[68] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020 წ. გვ. 41.

ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სახელმწიფო საიდუმლოების მოთხოვნათა დაცვით.[69] სამოქმედო გეგმაში, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება მონაცემები: ა) სპეციალური ღონისძიების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების, მათი ფუნქციებისა და მოქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ; ბ) სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების შესახებ; გ) პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ; დ) გადაადგილების მარშრუტების თაობაზე, რომელთა საშუალებითაც, მონაწილეებს ექნებათ დაკავებული ტერიტორიის სწრაფად და თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა; ე) არსებულ რისკებთან დაკავშირებით; ვ) საჭირო სპეციალური საშუალებების და აღჭურვილობის შესახებ.[70]

მინისტრის ბრძანების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ აქციის ორგანიზატორებსა ან მონაწილეებთან მოლაპარაკება ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან აცილებისა და სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით.[71] მოლაპარაკების საჭიროებას განაპირობებს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების დროს მოსალოდნელი სამართალდარღვევებისა და დაძაბულობის განეიტრალება.[72] აქედან გამომდინარე, როდესაც არსებობს შესაბამისი დროის რესურსი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა გამოიყენონ ამგვარი კომუნიკაციის შესაძლებლობა აქციის ორგანიზატორებსა ან მონაწილეებთან, რათა თავიდან აირიდონ სპეციალური საშუალებების გამოყენება.

სამართალდამცავებმა უნდა უზრუნველყონ მშვიდობიან მონაწილეთა განსხვავება შესაძლო სამართალდამრღვევი პირებისგან, რომელთა მიმართ, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.[73] გარდა ამისა, პოლიციელებმა შესაძლო დამრღვევები უნდა გაარიდონ ტერიტორიას, რათა, მათი ქმედებების გამო, არ შეწყდეს ან დაიშალოს მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია.[74] მინისტრის ბრძანება ასევე არეგულირებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების სტანდარტებს და ადგენს პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპს, კერძოდ: „სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ფიზიკური ძალის ან/და სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და კონკრეტული გარემოებებისთვის საჭირო მინიმალური ოდენობით.“[75] ბრძანების თანახმად, სპეციალური ღონისძიების დაწყებამდე, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.[76]

---

[69] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[70] იქვე, მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

[71] იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[72] იქვე, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[73] იქვე, მე-4 მუხლის 2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი.

[74] იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი.

[75] იქვე, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

[76] იქვე, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

მინისტრის ბრძანებით ასევე დადგენილია სპეციალური საშუალებების გამოყენების განსაკუთრებული მოთხოვნები, კერძოდ, განსაზღვრულია კონკრეტული **აკრძალვები** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის**,** მათ შორის:[77]

- ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის ჭურვებისა და ხელყუმბარების გამოყენება უშუალოდ სამართალდამრღვევი პირის მიმართ ან ადამიანთა ჯგუფში, ან მათი განმეორებით გამოყენება გაზგაშვებულ ადგილას;
- სპეციალური ხელკეტის გამოყენება სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილებში, ასევე, მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა მიმართ წყლის ჭავლის, რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის ერთდროულად ან პარალელურ რეჟიმში გამოყენება;
- ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება, თუ მონაწილეებს არ აქვთ საკმარისი სივრცე დაკავებული ტერიტორიის დასატოვებლად.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ეს ბრძანება არ იძებნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საძიებო სისტემაში, რაც სამართლებრივი ნორმების განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემაა და საჭიროებს გამოსწორებას.

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საერთაშორისო სტანდარტებით, ეროვნული კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით დადგენილი წესების პრაქტიკაში დაცვასა და აღსრულებას, რათა შეკრებებისა და მანიფესტაციებისას გამოყენებული ძალა იყოს აუცილებელი, თანაზომიერი და პროპორციული.

1.4. მედიასაშუალებების წარმომადგენელთა სპეციალური დაცვის გარანტიები

მედიის წარმომადგენლები აქციის მიმდინარეობის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სარგებლობენ დაცვის განსაკუთრებული გარანტიებით, რაც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლების უფლებიდან.[78] ეს მოიცავს როგორც სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს მედიის წარმომადგენლებს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებაში, ასევე პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ისინი საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან გამოვლენილი ძალადობისგან და უზრუნველყოს შესაბამისი პირობები მათი საქმიანობისთვის.[79]

შეკრებისა და მანიფესტაციის მიმდინარეობისას მედიის წარმომადგენლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების დაუბრკოლებლად განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებისთვის ინფორმაციის უწყვეტად და

[77] იქვე, მე-9 მუხლი.
[78] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[79] Dink v. Turkey, App no. 2668/07, (ECtHR 2010), §137; X and Y v. the Netherlands judgment of 26 March, Series A no. 91, 1985, §23). Özgür Gündem v. Turkey, App no. 23144/93, (ECtHR 2000), §42-43.

სრულყოფილად მიწოდების, ასევე, სამართალდამცავთა მიერ აქციის მონაწილეების მიმართ ძალის გამოყენების საზოგადოებრივი მონიტორინგის მიზნით. მედიის წარმომადგენლებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ აქციის მიმდინარეობის თაობაზე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური ცნობების გავრცელების თვალსაზრისით, ასევე, მათ მიერ მოპოვებული ფოტო-ვიდეო მასალა მნიშვნელოვანია ორგანიზატორებისა და სამართალდამცავების ანგარიშვალდებულების კუთხით.[80]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მედიის წარმომადგენლები, მათ შორის, სამოქალაქო ჟურნალისტები, დაცულები უნდა იყვნენ შეკრების გაშუქებისას.[81] აქციის მონაწილეებისადმი მიმართული მოწოდება დაშლასთან დაკავშირებით მათ არ უნდა ეხებოდეს და არ ავალდებულებდეს, დატოვონ ტერიტორია (თუ რეალური რისკის ქვეშ მათი ინდივიდუალური უსაფრთხოება არ დგას). დამატებით, ჟურნალისტები არ უნდა დააკავონ, თუ აქციის დაშლის ბრძანების გაცემის შემდეგ ისინი არ დატოვებენ ტერიტორიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ადგილზე ყოფნა პოლიციის მუშაობას ხელს უშლის.[82] მედიის წარმომადგენლებს ხელი არ უნდა შეეშალოთ პოლიციის ოპერაციების დაკვირვებასა და ჩაწერაში, თუ (გამონაკლისის სახით) მათი იქ ყოფნა მნიშვნელოვნად არ შეაფერხებს სამართალდამცავთა მუშაობას.[83] ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტებს დასაშლელად უნდა მიეცეთ მკაფიო ინსტრუქციები და საკმარისი დრო, ხოლო ამის შემდეგ მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამატებითი შესაძლებლობები შეკრების სათანადოდ გასაშუქებლად.[84]

მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობისა ან ძალის შესაძლო უკანონო გამოყენების ფაქტებზე უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი და დამოუკიდებელი გამოძიება, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დადგეს დამნაშავე პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.[85] საბოლოო ჯამში, „ყველა საჭირო ნაბიჯი უნდა გადაიდგას ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისგებაში მისაცემად“.[86] გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ პროფესიული სანქციები იმ პოლიციელებისთვის, რომლებიც მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალადობრივ ქმედებებს განახორციელებენ. ადამიანის უფლებათა სასამართლო ასევე ადგენს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს ჟურნალისტების დაცვის მაღალ სტანდარტს და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ ქმედითი ზომები ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში ხელშეშლის თავიდან ასარიდებლად.[87]

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანების თა-

---

[80] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020 წ. გვ. 33.

[81] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, 2012 წლის 21 მაისი, A/HRC/20/27, პარ. 48.

[82] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 42.

[83] იქვე.

[84] იქვე.

[85] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები, 2023. გვ. 10.

[86] Recommendation CM/Rec(2016)4 of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors (Adopted by the Committee of Ministers on 13 April 2016 at the 1253rd meeting of the Ministers' Deputies) („Recommendation CM/Rec(2016)4“), §21, ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016806415d9№_ftn1.

[87] Najafli v. Azerbaijan (application no. 2594/07), ECHR, 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პარ. 67.

ნახმად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, პროფესიულ საქმიანობაში ხელი არ შეუშალონ მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც შეკრებას/მანიფესტაციას აშუქებენ.[88] თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით, დამატებით არ არის განმარტებული, რა შეიძლება იყოს მიჩნეული ჟურნალისტის „მაიდენტიფიცირებელ ნიშნად", რაც საკმაოდ პრობლემური საკითხია შეკრების დროს იძულების ღონისძიებების გამოყენებისას პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ, თუ მედიის წარმომადგენელს არ აცვია სპეციალური ტანსაცმელი ან არ უკეთია შესაბამისი სამკერდე ნიშანი, მას მაინც უნდა მიეცეს უფლება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აწარმოოს საკუთარი ჟურნალისტური საქმიანობა მას შემდეგ, რაც მისი ვინაობა და პროფესია გახდება ცნობილი.[89] ამ შემთხვევაში, ზემოხსენებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს დაცვის ისეთსავე საშუალებებზე, როგორიც მედიის ყველა სხვა წევრს ექნებოდა.[90]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე.ი. მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან.[91]

[88] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია", მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

[89] საია, პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები, 2023, 9, ციტ. Najafli v. Azerbaijan (application no. 2594/07), ECHR, 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პარ. 67-9.

[90] იქვე.

[91] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 154-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

თავი 2

„რუსული კანონი“ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ
(სამოქალაქო პროტესტის გამომწვევი მიზეზები)

მოცემულ თავში მიმოხილულია 2023 წლის 7-9 მარტის აქციების გამომწვევი მოვლენების ქრონოლოგია.

2022 წელს, მათ შორის, 2022 წლის სექტემბერში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებსა და მათ მიზნობრიობაზე საუბარი დაიწყეს.[92]

2022 წლის დასასრულს, 29 დეკემბერს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ე.წ. უცხოური აგენტების შესახებ კანონის ინიციირება დააანონსეს.[93] ამ მოვლენას წინ უძღოდა მმართველი პარტიის მზარდი რიტორიკა სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავდა მათი რეპუტაციის შელახვას და საზოგადოების უარყოფითად განწყობას. ეს კი ცხადად ემსგავსებოდა იმას, თუ როგორ დაიწყო და აღასრულა საკანონმდებლო გზით თავისუფალი სიტყვის დევნა რუსეთმა.[94]

2023 წლის 21 თებერვალს 400-ზე მეტმა სამოქალაქო ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა და კანონპროექტი შეაფასა, როგორც თავდასხმა მთავარ ქართულ ფასეულობებზე, როგორიცაა ღირსება, დამოუკიდებლობა და სოლიდარობის განცდა.[95]

---

[92] ნეტგაზეთის სტატია: „ნიადაგი საკანონმდებლო ცვლილებებისთვის?“ - რა მიზანი აქვს NGO-ების დაფინანსებაზე კითხვებს. 13.09.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sJLp2E [28.08.2023].

[93] „ხალხის ძალის“ კანონის პროექტით, უცხოური გავლენის აგენტების რეესტრი შეიქმნება, რომელშიც რეგისტრაცია სავალდებულო იქნება ყველა „ენჯეოსა“ და სუბიექტისთვის, რომლებიც უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან. 29.12.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MZdhrq [28.08.2023].

[94] რუსული გამოცდილების შესახებ იხ. ბლოგი: „ECODEFENCE AND OTHERS V. RUSSIA - საქმე იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო და აღასრულა საკანონმდებლო გზით უფლებადამცველების დევნა რუსეთმა“, თამარ ონიანი, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/ecodefence-and-others-v-russia-saqme-imis-shesakheb-tu-rogor-daitsyo-da-aghasrula-sakanonmdeblo-gzit-uflebadamcvelebis-devna-rusetmaNsthash.5zg5rZi6.dpbs [28.08.2023].

[95] იხ. „რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 21.02.2023. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43yi08G [28.08.2023].

იხ. განცხადების ტექსტი:

რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ინიციირებულ კანონპროექტს უცხოური გავლენის აგენტების შესახებ, რომლის მიმართ მხარდაჭერა პარლამენტის თავმჯდომარემ და უმრავლესობის სხვა წევრებმა გამოხატეს. მიგვაჩნია, რომ ამ რუსული კანონის მიღების მცდელობა მიმართულია არა მხოლოდ თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კრიტიკული მედიის, არამედ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ.

ეს კანონი მიზნად ისახავს, რომ დაუცველნი დარჩნენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ქალები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმცირესობები, მეცნიერები, მშრომელები და ახალგაზრდები; დახმარება არ გაეწიოთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ფერმერებს, მაღაროელებს, უკანონოდ გათავისუფლებულ, დევნილ, უსახლკარო, თავისუფლებაშეზღუდულ და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლ სხვა ადამიანებს; არ გაშუქდეს მაღალმთიან და სხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ხმა, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი, დამოუკიდებელი მედიის მეშვეობით აცნობენ საზოგადოებას თავიანთ გასაჭირს.

ეს კანონპროექტი არის პასუხი ძალადობის, კორუფციის, უკანონობისა და შერჩევითი სამართლის იმ ასობით ფაქტზე, რომლებსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია ვსწავლობთ და ვასაჯაროებთ.

რუსეთში ანალოგიური კანონის მიღების შემდეგ ბევრმა ორგანიზაციამ უარი თქვა მის აღსრულებაზე და დაიხურა. ვინც განაგრძო ფუნქციონირება, მზარდი კონტროლის, შევიწროებისა და რეპრესიების მსხვერპლი გახდა. რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი, რისთვისაც, ათწლეულებია, ვიბრძვით.

ამ კანონპროექტის მიღება იქნება შეტევა მთავარ ქართულ ფასეულობებზე - ღირსების განცდაზე, დამოუკიდებლობასა და სამოქალაქო სოლიდარობაზე. გარდა ამისა, კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვნად დააზიანებს ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესს, მათ შორის, დააბრკოლებს საქართველოს სვლას ევროკავშირის წევრობისკენ, რომლის არც ერთ წევრ ქვეყანაში მსგავსი კანონი არ მოქმედებს. ამასთანავე, ამ კანონის აღსრულება შეუძლებელი იქნება საქართველოს ასიათასობით მოქალაქისთვის განუზომელი ზიანის მიყენების გარეშე.

კანონი გააკრიტიკეს მედიისა[96] და ოპოზიციის წარმომადგენლებმა,[97] რელიგიურმა უმცირესობებმა,[98] საგანმანათლებლო დაწესებულებებმა,[99] სპორტულმა გაერთიანებებმა[100] და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა,[101] ასევე, საქართველოს ბევრ-

[96] „არა რუსულ კანონს» - ჟურნალისტები პარლამენტში „ხალხის ძალის» კანონპროექტს აპროტესტებენ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oBoapX [28.08.2023].

[97] გიგა ბოკერია: ეს რეჟიმი და საქართველოს წინსვლა დასავლურ წიაღში დაბრუნებისკენ შეუთავსებელია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BYZ6Mu; ლელო კანონზე: გაერთიანების დროა – შეიქმნება ქართული საზოგადოების წინააღმდეგობის მოძრაობა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qh3own [28.08.2023].

[98] ევანგელური ეკლესიები: ე.წ. აგენტების კანონი ტოტალური კონტროლის სფეროში გვაბრუნებს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43alKha [28.08.2023].

[99] განხილვაც კი საფრთხეს უქმნის კანდიდატის სტატუსს - მასწავლებლები რუსულ კანონზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43bIKMG [28.08.2023].

[100] დინამო თბილისი: საშიშია ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ევროპულ გზას საფრთხეს შეუქმნის - ტაბულა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43dPQ38 [28.08.2023].

[101] Tbilisi Open Air რუსულ კანონზე: სამარცხვინო ადამიანებმა ჩანაფიქრი ვერ უნდა განახორციელონ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MZ2hu7 [28.08.2023].

მა მეგობარმა და სტრატეგიულმა პარტნიორმა სახელმწიფომ, მათ შორის, აშშ-ის,[102] ესტონეთის,[103] შვედეთის,[104] გერმანიის[105] წარმომადგენლებმა. იყო მკაცრი კრიტიკა ნატოს,[106] ევროკავშირის,[107] გაეროს,[108] ეუთოს[109] მხრიდან. აგრეთვე, არაერთმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ[110] გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ კანონის მიღების შედეგი სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლების ჩახშობა იქნებოდა საქართველოში.

2023 წლის 22 თებერვალს „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი ოფიციალურად დარეგისტრირდა საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრების, **სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი (დაჩი) ბერაიასა და ვიქტორ ჯაფარიძის ინიციატივით**.[111] მათ მიერვე, მოგვიანებით, ასევე დარეგისტრირდა, მათი თქმით, ამერიკული ტიპის, თუმცა, არსებითად, რეალურად იმავე მიზნის მქონე მეორე კანონპროექტიც.[112]

---

[102] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, კანონპროექტი რუსული კანონის მოდელით არის შექმნილი, რომელიც გამოიყენებოდა დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დასასუსტებლად და დასაშინებლად, იხ. State department spokesperson response to media question on Georgia's «foreign agent» draft law. 16.02.23, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MXh6MA [28.08.2023].

[103] კალასი: საქართველო გვახსენებს, დემოკრატიებიც შეიძლება გამოიფიტოს არჩეულ ლიდერთა ხელებში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PwlgfG [28.08.2023].

[104] შუსაბამოა EU-ს სტანდარტებსა და ქვეყნის მისწრაფებებთან - შვედეთის ელჩი რუსულ კანონპროექტზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZaEtI2 [28.08.2023].

[105] აგენტებზე კანონის მიღება EU-ს ღირებულებებს ეწინააღმდეგება - გერმანიის ელჩი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RkttGp [28.08.2023].

[106] კოლომინა: NATO მიღებული კანონპროექტით შეშფოთებულია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45KE8hL [28.08.2023].

[107] ევროკავშირმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში შემოთავაზებული „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ კანონთან დაკავშირებით. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ჟოზეპ ბორელმა განაცხადა, რომ კანონი „სერიოზულ შეშფოთებას იწვევს“ და მას „შეიძლება ჰქონდეს შემზარავი ეფექტი გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებაზე“. ბორელმა ასევე აღნიშნა, რომ კანონი „არ შეესაბამება ევროპულ ღირებულებებსა და სტანდარტებს, რომელთა დაცვის პასუხისმგებლობაც საქართველომ აიღო“. ევროკავშირი არის საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მტკიცე მხარდამჭერი და შემოთავაზებული კანონი განიხილება, როგორც საქართველოს უკანდახევა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. იხ. Spokesperson of EU High Representative Borrell Issues Critical Statement on the Draft Law on Foreign Agents. 25.02.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NeopAQ [28.08.2023].

[108] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით, კანონი „შეაფერხებს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მუშაობას და მათ მნიშვნელოვან წვლილს ქართულ დემოკრატიაში“, ამასთანავე, ის „არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლების უფლებას“. იხ. United Nations in Georgia Expresses Concern over Draft Law on Foreign Agents, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oK1rrZ [28.08.2023].

[109] FINAL Note on foreign agents legislation_Georgia, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, 25.07.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/44KaCY3 [28.08.2023].

[110] „უცხოეთის აგენტების“ კანონპროექტი ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებებს, Human rights watch, 8.03.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3r6QZMd [28.08.2023]. კანონთან დაკავშირებით, შეშფოთება გამოთქვა Amnesty International-მაც. მარი სტრუტერსმა, Amnesty International-ის დირექტორმა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში, განაცხადა, რომ კანონი „არღვევს გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას და ეწინააღმდეგება საქართველოს ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს, ამიტომ ის არასოდეს არ უნდა მიიღონ“. იხ. Georgia repressive foreign agent's bill withdrawn after protesters brutally dispersed, 09.03.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43KDpvx [28.08.2023].

[111] საქართველოს კანონის პროექტი „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“, ინიციატორი საქართველოს პარლამენტის წევრები: სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ვიქტორ ჯაფარიძე, N07-3/296/10, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/25876 [23.09.2023].

[112] პარლამენტში „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ» მეორე კანონპროექტიც დარეგისტრირდა, 27.02.2023, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q5pAt5 [28.08.2023].

2023 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე „უცხოური გავლენის აგენტების" შესახებ კანონპროექტების განხილვა ხმაურის ფონზე დაიწყო.[113] კერძოდ, განხილვის პროცესში მედიას, უმეტესწილად, შეეზღუდა მონაწილეობა, დაინტერესებული საზოგადოების ნაწილი კი მხოლოდ ონლაინ ადევნებდა თვალს მოვლენებს. საკომიტეტო განხილვის პარალელურად, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი აქცია მიმდინარებდა.[114] პოლიციამ ამ დღეს 36 პირი, მათ შორის, ორი ჟურნალისტი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძვლით დააკავა. 7 მოქალაქე იმავე საღამოს გაათავისუფლეს.[115]

2023 წლის 6 მარტს საქართველოს პარლამენტში, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე „აგენტების" შესახებ კანონპროექტები განიხილეს, რის შემდეგაც კომიტეტმა ორივე მათგანს მხარი დაუჭირა.[116]

2023 წლის 7 მარტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა 76 ხმით 13-ის წინააღმდეგ პირველი მოსმენით მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი. „ქართული ოცნების" დეპუტატებმა კენჭისყრა დარბაზში ოპოზიციის პროტესტისა და შეძახილების ფონზე ჩაატარეს. მმართველმა პარტიამ თავდაპირველად განაცხადა, რომ ე.წ. უცხოეთის აგენტების შესახებ კანონპროექტებს პლენარულ სხდომაზე 9 მარტს გაიტანდა. თუმცა, 7 მარტს, დღის ბოლოს, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ განხილვა იმავე დღეს დაეწყოთ. პარალელურად, პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.[117] ამ დღეს 76-მა დეპუტატმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა და ის პირველი მოსმენით მიღებულად ჩაითვალა.[118]

---

[113] გაერთიანებულმა კომიტეტებმა პროტესტის ფონზე დაიწყეს „უცხოური გავლენის აგენტების" შესახებ კანონის განხილვა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45wmBud.

[114] „არა რუსულ კანონს» - პარლამენტის შიგნით და გარეთ „ხალხის ძალის» კანონპროექტს აპროტესტებენ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MHZjIW.

[115] 2 მარტის აქციაზე პოლიციელების უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებაზე გამოძიება დაიწყო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oKjfmu.

[116] იურიდიულმა კომიტეტმა „აგენტების შესახებ» რუსულ კანონპროექტებს მხარი დაუჭირა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42ibn9E.

[117] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45zpYjV [23.09.2023].

[118] დეპუტატები, რომლებმაც რუსულ კანონს მხარი დაუჭირეს: ამილახვარი გიორგი; ბენაშვილი გია; ბერაია ირაკლი; ბერაია დაჩი; ბერაძე რიმა; ბითაძე მაია; ბოლქვაძე ანზორ; ბოლქვაძე ელისო; ბოჭორიშვილი მაკა; დავითულიანი ბექა; დალაქიშვილი ალექსანდრე; დარგალი ზაურ; დასენი ისკო; დუგლაძე ზაალ; ენუქიძე გოჩა; ვოლსკი გიორგი; ზავრადაშვილი ირმა; ზარქუა ირაკლი; თალაკვაძე არჩილ; თოლორაია ედიშერ; ინჯია ფრიდონ; იონათამიშვილი რატი; კაჭარავა დავით; კახაძე ლადო; კახიანი გიორგი; კახიშვილი კახა; კვიჟინაძე პაატა; კვიციანი ბაია; კიურეღიანი სუმბატ; კობახიძე ირაკლი; კობიაშვილი ლევან; კონცელიძე რესან; ლაშხი მარიამ; ლომინაძე ზაზა; მათიკაშვილი დავით; მანუკიანი სამველ; მაჭარაშვილი გურამ; მგალობლიშვილი ლევან; მდინარაძე მამუკა; მეზურნიშვილი ირაკლი; მენაღარაშვილი მაია; მეშველიანი გოგი; მირზოევი სავალან; მიქანაძე გივი; მიქელაძე ზაალ; ობოლაშვილი ანტონ; ოდიშარია ბექა; ოხანაშვილი ანრი; პაპუაშვილი შალვა; სამხარაული გელა; სამხარაძე დიმიტრი; სამხარაძე ნიკოლოზ; სანიკიძე ვიქტორ; სარჯველაძე მიხეილ; სეფაშვილი ეკა; სონღულაშვილი დავით; სუბარი სოზარ; ტაბატაძე ალექსანდრე; ტურძელაძე ნოდარ; ქადაგიშვილი ირაკლი; ქარუმიძე ლევან; ღუდუშაური ალუდა; ყაველაშვილი მიხეილ; შატაკიშვილი ირაკლი; ჩანქსელიანი გოდერძი; ჩიგოგიძე ვასილ; ჩიქოვანი ირაკლი; ცაგარეიშვილი გია; წაქაძე ბეჟან; წილოსანი ნინო; წილოსანი ხატია; წიწავა გრეტა; ჭიჭინაძე გივი; ხაბარელი შოთა; ხუნდაძე დიმიტრი; ჯაფარიძე ვიქტორ. იხ. რადიო „თავისუფლება", „სია - ვინ დაუჭირა მხარი „აგენტების» პროექტს და ვინ შეიკავა თავი „ქართული ოცნებიდან», 07.03.2023, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32307319.html [23.09.2023].

ამ ფაქტმა 7 და 8 მარტის საღამოს მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია, რომლებიც 9 მარტის დილის საათებამდე გაგრძელდა. სამართალდამცავმა ორგანოებმა აქციების დასაშლელად ძალა გამოიყენეს. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია დეტალურად მე-3 თავშია მოცემული.

2023 წლის 9 მარტს, მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ გაავრცელა განცხადება, რომ პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ უკან გაიწვევდა.[119] 10 მარტს კანონპროექტი მეორე მოსმენით ოფიციალურად ჩავარდა.[120]

[119] ამერიკის ხმა, „საქართველოს პარლამენტმა „აგენტების» კანონპროექტი ჩააგდო“, 10.03.2023, ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/majority-drops-the-bill-on-foreign-agents-in-the-second-reading/6999037.html [23.09.2023].
[120] იქვე.

თავი 3

7–9 მარტის აქციების დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა და გამოყენებული ძალის პროპორციულობა

როგორც პირველ თავში განხილული სტანდარტებიდან გამომდინარეობს, სამართალდამცავების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის დროს გამოყენებული ძალის პროპორციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

ა) სამართალდარღვევის ხასიათი;

ბ) შერჩეული სპეციალური საშუალების სახე;

გ) სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ხანგრძლივობა;

დ) შესაძლო სამართალდარღვევების რისკების შეფასება და გაწეული ძალისხმევა ძალის გამოყენების თავიდან ასარიდებლად;

ე) ძალის გამოყენების შედეგების სიმძიმე.

მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა სპეციალური ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინონ, რომ მიყენებული ზიანი იყოს მინიმალური, თანაზომიერი და მიღწეული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საიასთვის მიწოდებულ ინფორმაციაში[121] არ არის დაკონკრეტებული, 2023 წლის 7-9 მარტის აქციების სამართავად იყო თუ არა მათ მიერ შემუშავებული და დამტკიცებული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, ასევე, არ არის მითითებული ამ გეგმით განსაზღვრული საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, არსებობის შემთხვევაში, საიდუმლო დოკუმენტია, საიას უჭირს ამ საკითხებზე მსჯელობა. თუმცა, **ხაზგასასმელია, რომ, ზოგადად, საზოგადოებას არ აქვს შესაძლებლობა, დააკვირდეს და შეისწავლოს ამგვარი გეგმების კანონიერება და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან მათი შესაბამისობა, რაც, მნიშვნელოვანი ბერკეტის გარეშე ტოვებს მათ, ვისაც სურს, შეასრულოს დარაჯის ფუნქცია დემოკრატი-**

[121] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის წერილი №7230198118.

ული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. მაგალითად, წარსულში, 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს, საიას გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება იმის თქმა, რომ გენერალურ პროკურატურას დაზარალებულებისთვის არ მიუცია საქმის სრულ მასალებზე წვდომა, მათ შორის, არც სამოქმედო გეგმაზე.[122] სტრასბურგის სასამართლოში სახელმწიფოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია ამ გეგმის შინაარსის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ასევე არ იძლეოდა.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგმა გამოავლინა აქციაზე მობილიზებული სამართალდამცავების უპრეცედენტო რაოდენობა. მათ შორის იყვნენ პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სპეციალური დამცავი საშუალებებით. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მასობრივი მობილიზებით შექმნა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებისთვის დამაშინებელი და სახიფათო გარემო.[123]

2023 წლის 7-8 მარტის აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ რამდენიმე სპეციალური საშუალება გამოიყენეს, მათ შორის, წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი და „წიწაკის სპრეი", იგივე წიწაკის გაზი.[124] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, თანმიმდევრულად შევაფასოთ სპეციალური საშუალებების გამოყენების კანონიერება და პროპორციულობა.

3.1. ძალის გამოყენება 2023 წლის 7 მარტის 18:00 საათიდან 8 მარტის 04:00 საათამდე

2023 წლის 7-8 მარტის საპროტესტო აქციაზე გამოყენებული ძალის კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასებისას კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საჭიროება:

ა) აქციის მონაწილეებთან წინასწარი მოლაპარაკების/კომუნიკაციის მექანიზმის გამოუყენებლობა

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტის განხილვის დასრულების შემდეგ, 20:16 სთ-იდან, აქციის მონაწილეებს სურდათ პარლამენტის გვერდითა შესასვლელებთან მიახლოება და დეპუტატებისთვის ე.წ. „სირცხვილის კორიდორის" მოწყობა, რის შესახებაც წინასწარ იყო ცნობილი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ ამის შესახებ ინფორმაცია.[125] აქციის მონაწილეების

[122] იხ. პრესრელიზი: საია 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართავს, 07.04.2021, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-20-ivniss-dazaralebuli-demonstrantebisa-da-zhurnalistebis-sakhelit-evropul-sasamartlos-mimartavs№sthash.FEadEfeu.e7ugEQOB.dpbs [29.08.2023].

[123] საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება (ombudsman.ge), 13.03.2023, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-rustavelis-gamzirze-2023-tslis-7-9-marts-ganvitarebul-movlenebs-ekhmianeba [27.09.2023].

[124] ტელეკომპანია „მთავარი არხის" მიერ მოწოდებული კადრები, 7 მარტი, 20:47; 21:42-21:43; ტელეკომპანია „მთავარი არხის" მიერ მოწოდებული კადრები, 9 მარტი, 00:05-06:00.

[125] ტელეკომპანია „მთავარი არხის" მიერ მოწოდებული კადრები, 20:16 წთ. კადრების მიხედვით, აქციის

მხრიდან არ გაკეთებულა განცხადებები დეპუტატების მიმართ ძალადობრივი ქმედებებისა და შესაძლო თავდასხმების თაობაზე.[126]

მოცემულ შემთხვევაში, **სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ჰქონდათ საკმარისი დრო და საშუალება, აქციის მონაწილეებთან ეწარმოებინათ წინასწარი მოლაპარაკებები** და მათთვის მიეცათ მშვიდობიანი კორიდორების მოწყობის შესაძლებლობა პარლამენტის შენობის შესასვლელების ბლოკირების გარეშე. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამატებითი ძალები გამოიყვანა და საპოლიციო კორდონებით გადაკეტა პარლამენტის გვერდითა ასასვლელები, ჭიჭინაძისა და 9 აპრილის ქუჩები. ამან პოლიციელებსა და აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფს შორის დაპირისპირება გამოიწვია და **ხელი შეუწყო ვითარების ესკალაციას.** მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეების ნაწილი ცდილობდა სამართალდამცავებთან კომუნიკაციას (20:26 სთ), ამ უკანასკნელთა მხრიდან მოლაპარაკების რესურსი არ ყოფილა გამოყენებული.[127]

ბ) სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძველი და წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების დაცვა

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა 2023 წლის 7 მარტს, 20:34 საათზე, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ დაიწყეს სპეციალური საშუალებების, კერძოდ, ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენება.[128] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძველი იყო

მონაწილეების ნაწილს სირცხვილის კორიდორის მოწყობა სურს პარლამენტის იმ ჭიშკართან (ჩიტაძის ქუჩაზე), საიდანაც დეპუტატებმა ტერიტორია უნდა დატოვონ, თუმცა ამის შესაძლებლობა არ ეძლევათ, რადგან ასობით სამართალდამცველია მობილიზებული.

[126] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 18:50-20:16. 18:51 საათისთვის აქციაზე სიტყვით გამოსვლები დაიწყო. ტრიბუნასთან გამოდიოდნენ აქტივისტები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები. ისინი მოუწოდებდნენ მოქალაქეებს აქციაზე გამოსვლისკენ და აქტივიზმისკენ.

[127] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:26.

[128] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 2023 წლის 8 მარტის განცხადება 2023 წლის 7-8 მარტს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (gyla.ge).

მოქალაქეთა ნაწილის მხრიდან პოლიციის თანამშრომლების მიმართ აგრესიული ქმედებები, რაც გამოიხატებოდა სიტყვიერ შეურაცხყოფაში, ფიზიკურ დაპირისპირებასა და თავდასხმებში.[129] გაფრთხილების გარეშე სპეციალური საშუალებების გამოყენების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 20:38 საათიდან დაიწყო ძალის გამოყენების თაობაზე წინასწარი გაფრთხილების ხმის გავრცელება გამაძლიერებლის საშუალებით აქციის მთელ ტერიტორიაზე.[130]

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეების მიმართ სპეციალური საშუალებების წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოყენება უხეშად არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას და შეკრების მონაწილეებისთვის ტერიტორიის დასატოვებლად გონივრული ვადის მიცემის (30 წუთი) საჭიროებას. **შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2023 წლის 7 მარტს სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური წესების დარღვევით.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2023 წლის 7 მარტს 20:38 საათზე ძალის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას, რადგან სამინისტროს მიერ

წინასწარი გაფრთხილების გამოცხადების დროისთვის (20:38 სთ) აქციას ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი და არ არსებობდა მისი შეწყვეტისა და მის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ლეგიტიმური საფუძველი.[131] მოცემულ შემთხვევაში, აქციაში მონაწილე სამართალდამრღვევი პირების მიმართ, მათი მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა გატარებულიყო ინდივიდუალური, აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები, რათა ხელი არ შეშლოდა მშვიდობიანი დემონსტრანტების უფლების განხორციელებას. თუმცა, ამ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ერთმანეთისგან არ გაუმიჯნავთ აქციის მშვიდობიანი და სამართალდამრღვევი მონაწილეები და, მათ შორის, მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყეს, რაც უფლებაში აუცილებელი და პროპორციული ჩარევის სტანდარტს ეწინააღმდეგე-

[129] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის წერილი №7230198118.
[130] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:36-20:38.
[131] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:36-20:38.

ბა.[132] ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში, აქციის მონაწილეთა მხრიდან სამართალდარღვევის ერთეული ინციდენტები გახდა მასობრივი ხასიათის ძალის გამოყენებისა და მთლიანი აქციის დაშლის საფუძველი, რის შედეგადაც, ათასობით მშვიდობიან მონაწილეს შეკრების ადგილის დატოვება მოუწია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა საიასთან ინტერვიუს დროს განაცხადა:

> *„მაშინ, როდესაც პარლამენტის შესასვლელთან, უკანა ტერიტორიაზე მოხდა პირველი დაძაბულობა, აქციის დაშლა დაიწყეს იმ ტერიტორიაზე (პარლამენტის წინ), სადაც მშვიდობიანად გრძელდებოდა შეკრება და მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობდნენ მოქალაქეები. აქციის მშვიდობიანი მონაწილეების დიდ ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია აქციის დაშლის დაწყების მიზეზებისა და საფუძვლების თაობაზე, რადგან არსებულ ტერიტორიაზე საკომუნიკაციო საშუალებები შეფერხებით ან არ ფუნქციონირებდა. ამ მოქალაქეების ძირითადი ნაწილი აგრძელებდა მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობას. შესაბამისად, ასეთ დროს შსს-ს მხრიდან მშვიდობიანი მოქალაქეების დაშლის მცდელობა, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება კანონიერ, ლეგიტიმურ, აუცილებელ და პროპორციულ ზომად“.*[133]

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2023 წლის 8 მარტს 01:50 საათისთვის პოლიციამ სრულად დაიკავა პარლამენტის შესასვლელები და რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ მონაკვეთი, სადაც აქცია მიმდინარეობდა.[134] ამასთანავე, პარალელურად ხმოვანი სიგნალი მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს, დაეტოვებინათ მიმდებარე ტერიტორია.[135]

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტებისთვის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის დატოვების მოთხოვნა **არღვევდა** საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ასევე, მათ მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება გასცდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს და მნიშვნელოვნად დაარღვია მშვიდობიანი შეკრების უფლება.

გ) სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ხანგრძლივობა

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების პროპორციულობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ მათი გამოყენების თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ხანგრძლივობა.

2023 წლის 7 მარტსა და 8 მარტის დილის საათებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებების თანმიმდევრულად, მსუბუქიდან მკაცრ ღონისძიებებზე ეტაპობრივად გადასვლა, როგორც

---

[132] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 2023 წლის 8 მარტის განცხადება 2023 წლის 7-8 მარტს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (gyla.ge); საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება (ombudsman.ge).

[133] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[134] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 01:50-01:55.

[135] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 01:55-01:59.

ამას სტანდარტი მოითხოვს, არ მომხდარა. მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეების მიმართ ნაკლებად შემზღუდველი ზომების გატარება დაიწყონ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაელოდონ სასურველი შედეგის მიღწევას.[136]

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დემონსტრანტების მიმართ რამდენიმე სპეციალური ღონისძიების - წყლის ჭავლისა და წიწაკის გაზის გამოყენება ერთდროულად დაიწყეს (20:47),[137] რაც **ეწინააღმდეგება** საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას. ამასთანავე, სხვადასხვა სპეციალური საშუალების გამოყენებისას დროის შუალედები იყო მცირე და სამართალდამცავებს არ გაუთვალისწინებიათ, რომ მხოლოდ ერთი ღონისძიებითაც, შესაძლოა, მიღწეული ყოფილიყო იგივე შედეგი, რაც რამდენიმეს ერთდროულად გამოყენებით მიიღეს.[138]

გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023 წლის 7-8 მარტის აქციაზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ მონაწილეების მიმართ პარალელურ რეჟიმში გამოიყენებოდა რამდენიმე სპეციალური საშუალება (ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და „წიწაკის სპრეი“).[139] ეს კი **ეწინააღმდეგება** როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილ წესებს, რომლის თანახმად, აქციის მონაწილეების მიმართ წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის ერთდროულად ან პარალელურ რეჟიმში გამოყენება აკრძალულია.[140] სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სპეციალური საშუალებე-

[136] იხ. ამ კვლევის 1.2. თავში დადგენილი სტანდარტები.

[137] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:47. კადრებში ჩანს, რომ ჩიტაძის ქუჩაზე დაიძრა წყლის ჭავლის მანქანა რუსთაველის მიმართულებით, სადაც მოქალაქეები დგანან. იმავდროულად, იწყება ცრემლსადენი გაზის გამოყენება, რომელსაც უმისამართოდ ასხამენ შსს-ს წარმომადგენლები.

[138] იხ. ამ კვლევის 1.2. თავში დადგენილი სტანდარტები.

[139] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:47-20:50.

[140] Amnesty International Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and firearms by law enforcement officials, 2015, გვ. 17-21.

ბის პარალელურ რეჟიმში გამოყენება იწვევს შეკრების მონაწილეების ჯანმრთელობის გაძლიერებულ დაზიანებას და ინტოქსიკაციას, რის გამოც, მათი ერთდროულად გამოყენება აკრძალულია.[141]

მედიასაშუალებებით გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენება აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ, ხშირ შემთხვევაში, ხდებოდა **სრულიად უსაფუძვლოდ,** მათ შორის, პოლიციის თანამშრომლებთან კონკრეტული ადამიანების მშვიდობიანი მიახლოებისთანავე (სახის არეში „წიწაკის სპრეის“ დამიზნებით შესხურება),[142] რაც არღვევს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესებსა და სტანდარტებს. მედიით გავრცელებულ ვიდეომასალებში ასევე ჩანს (21:42-21:43 სთ), რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მოქალაქეების წინააღმდეგ **უხეშ ფიზიკურ ძალას** მიმართავდნენ, რომლის საჭიროება და აუცილებლობა იმ კონკრეტულ შემთხვევებში არ იყო.[143]

ამასთანავე, იმის მიუხედავად, რომ აქციის მიმდინარეობისას ინციდენტებს ჰქონდა ლოკალური და ინციდენტური ხასიათი, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენება სრულად გავრცელდა პარლამენტის გვერდით ქუჩებსა[144] და მის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე.[145] ეს კი არღვევს სპეციალური საშუალებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, მათი გამოყენება არ შეწყვეტილა იმის მიუხედავად, რომ სამართალდამრღვევთა მცირე ჯგუფის ქმედებები აღიკვეთა და მოქალაქეების დიდი უმრავლესობა მშვიდობიანად აგრძელებდა აქციას.[146] შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების ინტენსივობა და ხანგრძლივობა **გასცდა კანონიერებისა და პროპორციულობის ფარგლებს** და მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ მიიღო **სადამსჯელო ხასიათი.** ამასთანავე, სამართალდამცავების მიერ მთელი აქციის დაშლის და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის სრულად გათავისუფლების გადაწყვეტილება იყო არაკანონიერი და არაპროპორციული.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეების მიმართ **არაკანონიერი და არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგად,** დემონსტრანტების დიდი ნაწილი დაშავდა, რის გამოც, აქციის ადგილზე მობილიზებული ყველა სასწრაფო დახმარების მანქანა დაკავებული იყო (23:37-23-39 სთ).[147] აქციაზე დაშავებული მოქალაქეების ნაწილი სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს.[148]

[141] იქვე, გვ. 17-21.
[142] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:47-20:50.
[143] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 21:42-21:43.
[144] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:56-23:59.
[145] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 20:56-23:59.
[146] იხ. ამ კვლევის 1.2. თავში დადგენილი სტანდარტები.
[147] იქვე.
[148] იქვე.

3.2. ძალის გამოყენება 2023 წლის 8 მარტის 15:00 საათიდან 9 მარტის 06:00 საათამდე

2023 წლის 8-9 მარტის საპროტესტო აქციაზე გამოყენებული ძალის კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასებისას, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საჭიროება:

ა) აქციის მონაწილეებთან წინასწარი მოლაპარაკებების/კომუნიკაციის მექანიზმის გამოუყენებლობა

2023 წლის 8 მარტს 15:00 საათზე რუსთაველის გამზირზე აქცია განახლდა. თავისუფლების მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავების დიდი რაოდენობა იყო მობილიზებული, რომლებიც რუსთაველის გამზირზე მიმავალ მოქალაქეებს აჩერებდნენ და მათ ზედაპირულ შემოწმებას ახორციელებდნენ. მოცემულ შემთხვევაში, **არ არის ნათელი,** სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები რამდენად მიმართავდნენ **ინდივიდუალურ მიდგომას** შეკრების მონაწილეების შერჩევისას ზედაპირული შემოწმებისთვის და რამდენად ჰქონდათ გონივრული ეჭვისთვის საკმარისი მტკიცებულებები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემოწმების შედეგად, 10 პირი დააკავეს, რომლებსაც საპროტესტო აქციაზე ძალადობრივი ქმედებებისთვის გამიზნული კანონსაწინააღმდეგო ნივთები მიჰქონდათ.[149]

8 მარტის აქცია საღამოს 19:00 საათიდან 22:00 საათამდე მშვიდობიანად მიმდინარეობდა.[150] 2023 წლის 8 მარტს 22:05 საათზე გიორგი ვაშაძემ აქციის მონაწილეებს მოუწოდა, მშვიდობიანად დაძრულიყვნენ პარლამენტის ორივე მხარეს და შენობის გვერდითა შესასვლელებთან განლაგებულიყვნენ. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ პარლამენტის შესასვლელების მიღმა, შიდა ტერიტორიაზე. მათ, მოცემულ შემთხვევაში, **კვლავ არ გამოიყენეს აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებთან წინასწარი მოლაპარაკების შესაძლებლობა,** რათა, პარლამენტის შენობის შესასვლელების მიმდებარე ტერიტორიაზე, მათი ბლოკირების გარეშე, მშვიდობიანი შეკრების გაგრძელება უზრუნველეყოთ. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში არ იყო ნათელი, შეკრების მონაწილეების მიერ პარლამენტის შენობის შესასვლელებთან განლაგება რამდენად გულისხმობდა მათ ბლოკირებას და რამდენად იქონიებდა გავლენას საკანონმდებლო ორგანოს შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე.

ბ) სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძველი და წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების დაცვა

2023 წლის 8 მარტს 22:20 საათიდან პარლამენტის უკანა შესასვლელთან აქციის მონაწილეების მცირე ნაწილის მიერ პროტესტის გამოხატვა გასცდა მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს და გადაიზარდა ძალადობრივ ქმედებებში. თუმცა, ამას გავლენა არ მოუხდენია მონაწილეთა უმრავლესობის მიერ აქციის მშვიდობიანად გაგრძელებაზე და მას მშვიდობიანი ხასიათი არ დაუკარგავს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შეკრების მონაწილეების მცირე ჯგუფმა მოხსნა პარლამენტის შენობასთან განლაგებული რკინის დამცავი ჯებირები,

[149] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის წერილი №7230198118.
[150] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 19:00-22:00.

დააზიანეს პარლამენტის უკანა შესასვლელთან არსებული ფანჯრები, პარლამენტის შენობასა და ეზოში ისროდნენ სხვადასხვა საგნებს და პიროტექნიკას. [151]

2023 წლის 8 მარტს 22:52 საათიდან პარლამენტის უკანა შესასვლელის შიდა პერიმეტრზე განლაგებულმა სამართალდამცავებმა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აქციის მონაწილეების ძალადობრივი ჯგუფის მიმართ დაიწყეს სპეციალური საშუალებების, კერძოდ, წყლის ჭავლის გამოყენება, რაც არღვევს საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ პარლამენტის შიდა ტერიტორიაზე და შენობის შესასვლელები არ იყო დაზიანებული, **არ არსებობდა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისა ან ზიანის მიყენების საშიშროება, არც სხვა მძიმე შედეგი,** რომელიც გაამართლებდა წყლის ჭავლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოყენებას. ეს სპეციალური ღონისძიება 20 წუთის განმავლობაში, 23:10 საათამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა, სამართალდამცავებმა, **წინასწარი გაფრთხილების გარეშე,** აქციის მონაწილეების მიმართ ძალა არაერთხელ გამოიყენეს 9 მარტის დილის საათებში, მათ შორის, განურჩევლად იმისა, იყვნენ თუ არა სამართალდამრღვევები ის პირები, რომელთა მიმართაც აქტიურ სპეციალურ საშუალებებს იყენებდნენ.[152]

2023 წლის 8 მარტს, 23:17 საათისთვის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დაიკავეს პარლამენტის უკანა და გვერდითა შესასვლელები, განლაგდნენ ჩიტაძისა და ჭიჭინაძის ქუჩებზე. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის უკანა და გვერდითა შესასვლელებთან მონაწილეთა მცირე ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომლებიც სცდებოდა მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს, აღკვეთილი და შეჩერებული იყო, სამართალდამცავებმა მიიღეს გადაწყვეტილება, თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მიმართულებით ტერიტორია დემონსტრანტებისგან სრულად გაეთავისუფლებინათ, რაც იყო მოქალაქეთა მშვიდობიანი შეკრების უფლების **დარღვევა.**

2023 წლის 7 მარტის მსგავსად, 8 და 9 მარტს, გამთენიისას, აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფების მხრიდან სხვადასხვა მონაკვეთზე გამოვლენილ სამართალდარღვევებს ჰქონდა ლოკალური, ინციდენტური ხასიათი და მათი აღმოფხვრა შესაძლებელი იყო ამ ჯგუფების მიმართ ინდივიდუალური და პროპორციული ღონისძიებების გატარებით. ამდენად, სამართალდამცავების მიერ მთელი აქციის დაშლის და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის სრულად გათავისუფლების გადაწყვეტილება იყო არაკანონიერი და არაპროპორციული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა **ვერ შეძლეს** სამართალდამრღვევი და მშვიდობიანი მოქალაქეების ერთმანეთისგან გამიჯვნა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას ჰქონდა ერთიანი ხასიათი.

გ) სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა, ინტენსივობა და ხანგრძლივობა

2023 წლის 8-9 მარტს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა განაგრძეს რამდენიმე სპეციალური საშუალების პარალელურად გამოყენება (წყლის ჭავლი, „წიწაკის სპრეი“ და ცრემლსადენი გაზი), რაც **არღვევდა** საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს.

[151] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის წერილი №7230198118.
[152] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 00:13-00:23.

2023 წლის 9 მარტს, 01:45 საათიდან, მედიის მიერ საჯაროდ გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სპეციალური საშუალებები **ინტენსიურად გამოიყენებოდა** კანონისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების დარღვევით, კერძოდ: „წიწაკის სპრეის“ სახეში დამიზნებით შესხურება,[153] ცრემლსადენი გაზის კაფსულების სროლა დემონსტრანტების ფართო მასებსა და გაშლილ ტერიტორიაზე,[154] ცრემლსადენი გაზის ან/და „წიწაკის სპრეის“ წყლის ჭავლში გაზავება ან/და პარალელურად გამოყენება,[155] მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება,[156] არაკანონიერი დაკავებები და ა.შ.

2023 წლის 9 მარტს, 03:20 საათზე, საიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც სპეციალური საშუალებების წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დადგენილი წესების დარღვევით და არაპროპორციულად გამოყენებაზე მიუთითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა, სამართალდამცავებისთვის მიეცა მკაცრი მითითება, ემოქმედათ კანონის ფარგლებში:

> *„საჯაროდ გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ საშუალებების გამოყენება ხდება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. გარდა ამისა, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენება ერთმანეთის პარალელურად, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს. ამასთანავე, ადგილი აქვს ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის ინტენსიურად, დროში შემჭიდროებულ შუალედებსა და დიდი რაოდენობით გამოყენებას, რასაც, გარდა არაპროპორციული ბუნებისა, აქვს მშვიდობიანი მოქალაქეებისადმი არასათანადო მოპყრობის ტოლფასი ეფექტი [...]“.*[157]

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სპეციალური საშუალებებისა და ძალის გამოყენება, ასევე მათი დაკავება 2023 წლის 9 მარტის 06:45 საათამდე გაგრძელდა, რაც, ამ ღონისძიების ინტენსივობის, სიმძიმისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შეკრების უფლების არაპროპორციული შეზღუდვაა. მოცემულ შემთხვევებში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ერთმანეთისგან **არ მიჯნავდნენ** მშვიდობიან და სამართალდამრღვევ დემონსტრანტებს, რის გამოც, ყველა მონაწილე ერთიან მოპყრობას დაექვემდებარა.

[153] ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ მოწოდებული კადრები, 00:05-06:00.
[154] იქვე.
[155] იქვე.
[156] იქვე.
[157] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, 09.03.2023, საიას Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3J7OHIA.

თავი 4

2023 წლის 7–9 მარტის აქციებზე მედიის წარმომადგენლებისთვის საქმიანობაში ხელის შეშლა

2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ჟურნალისტების საქმიანობას არაკანონიერად ზღუდავდნენ და მათ თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევდნენ.

ორგანიზაცია „მედია ომბუდსმენის“ ანგარიშის თანახმად, 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ჟურნალისტების მიმართ იყენებდნენ ისეთ ძალადობრივ მეთოდებს, როგორიცაა: „წიწაკის სპრეის“ სახეში შესხმა, წყლის ჭავლის და გაზის კაფსულების დამიზნებით სროლა, ფიზიკური შეურაცხყოფა (ქამრებით გათრევა, ე.წ. სქროლის სროლა, ჩარტყმა თავის არეში, მხარზე კამერით მომუშავე ოპერატორების ცემა ზურგის არეში, წიხლის ჩარტყმა), სიტყვიერი შეურაცხყოფა (გინება, დამამცირებელი მიმართვა, ძალადობის მუქარა), კამერაზე ხელის აფარება, იძულებით გაყვანა გადაღების ადგილიდან, პარლამენტის შენობიდან გაგდება და სხვა.[158]

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალადობრივი ქმედებები უმეტესად განხორციელდა ე.წ. არასახელისუფლებო მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ. „მედია ომბუდსმენის“ ანგარიშის თანახმად, მედიის 21 წარმომადგენლის მიმართ გამოვლინდა მკვეთრად გამოხატული დანაშაულის ნიშნები.[159] ანგარიშში მოცემულია დეტალური ინფორმაცია კონკრეტული ჟურნალისტებისა და ოპერატორებისათვის ხელის შეშლისა და მათ მიმართ ძალადობის ფაქტების თაობაზე.[160]

---

[158] ა(ა)იპ „მედია ომბუდსმენის“ მეორე ანგარიში, არა რუსულ კანონს, ავტორი: ნათია კაპანაძე, 2023 წლის 7 ივლისი, ხელმისაწვდომია: არა რუსულ კანონს 02 - 09 მარტი 2023 წელი. მეორე ანგარიში.docx.pdf - Google Drive, გვ. 6.

[159] იქვე, გვ. 11.

[160] იქვე, გვ. 11-2, მაგალითისთვის: ***მიხეილ გვაძაბია, ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთის“ და „ბათუმელების“ ჟურნალისტი*** - „როდესაც პარლამენტის წინ სიტუაცია დაიძაბა, წამოვედით პირველი სკოლისკენ და მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავდიოდით, ვიდეოს ვიღებდი, როდესაც ერთ-ერთი სპეცრაზმელი მოვარდა, ამ დროს ჩემმა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა საიასთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ:

> *„მედიის წარმომადგენლების მიმართ იყო ხელშეშლის ფაქტები, მათ შორის, მიიღეს ფიზიკური დაზიანებები. ჩვენ საჯარო განცხადებებში მივუთითეთ, რომ მსს-ს უნდა გაეტარებინა განსაკუთრებული ზომები მედიის წარმომადგენლების ფიზიკური უსაფრთხოებისთვის და არ უნდა ყოფილიყო საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევები. ჟურნალისტებს უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა, შეუფერხებლად განეხორციელებინათ თავიანთი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მივმართეთ კითხვით, დაიწყო თუ არა გამოძიება ჟურნალისტების მიმართ სავარაუდო ხელშეშლის და ძალადობის ფაქტებზე, რაზეც გვიპასუხეს, რომ ამ შემთხვევებზეც დაწყებულია გამოძიება“.*[161]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 7-9 მარტს, აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე, სხვადასხვა წყაროდან ჯამში 124 შეტყობინება შევიდა, რომლებიც აქციის მონაწილეების და ცალკეული ჟურნალისტების უფლებების დარღვევას ეხებოდა.[162] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტებზე.[163]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიება, ასევე, მათთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრება.

რედაქტორმა ნესტან ცეცხლაძემ დაიყვირა, რომ ჟურნალისტები ვიყავით და მეც მეკეთა პრესის ბარათი, მაგრამ ამ ფრაზიდან რამდენიმე წამში სპეცრაზმელმა წიხლი ჩამარტყა, ვიდეოს გადაღება სწორედ ამ მომენტში წყდება, იმედია სათვალთვალო კამერა დააფიქსირებდა ამ შემთხვევას». ***ჯონი ბაკურაძე, „ფორმულას” ოპერატორი*** აქციის გადაღებისას სამართალდამცველების მხრიდან აგრესიის სამიზნე არაერთხელ გახდა. ის ჯერ წყლის ჭავლის დამიზნებით აიძულეს, რომ გადაადგილებულიყო, შემდეგ კი გაზის კაფსულის სროლით ცდილობდნენ მედიასაშუალებების, მათ შორის, „ფორმულას” პირდაპირი ეთერის შეწყვეტას.

[161] სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[162] იქვე, გვ. 6.

[163] იქვე, გვ. 6.

თავი 5

ადმინისტრაციული დაკავებების უკანონო პრაქტიკა და დაკავების თანმხლები ძალადობა

საჯარო წყაროების ანალიზი, ასევე გამოკითხულთა ინტერვიუები მოწმობს, რომ აქციის მონაწილეთა დაკავება, ხშირ შემთხვევაში, არა კონკრეტული სამართალდარღვევის აღკვეთას, არამედ აქციის მიმდებარე ტერიტორიიდან ადამიანების განურჩევლად გაყვანას ემსახურებოდა. დაკავებისას დემონსტრანტების უფლებების მასობრივ დარღვევაზე მეტყველებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შესული შეტყობინებების რაოდენობაც. სხვადასხვა უწყებიდან სამსახურში ჯამში 123 შეტყობინება შევიდა, რომლებიც, აქციის მონაწილეების გარდა, ჟურნალისტების უფლებათა დარღვევის ფაქტებსაც შეეხებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების[164] ფაქტებზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო.[165]

დაკავებულთა ადვოკატების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაკავებულებს არ განემარტებოდათ დაკავების საფუძვლები და უფლებები.[166] მათ არათუ არ ეძლეოდათ ადვოკატთან დარეკვის შესაძლებლობა, ბევრმა მათგანმა პირველად სასამართლო პროცესზე წარდგენის შემდეგ ნახა ადვოკატი. შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულების შესახებ ინფორმაციას არ აწვდიდა მათი ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დაკავებულები გადაჰყავდათ სხვადასხვა ქალაქის იზოლატორებში.[167] ზოგიერთ შემთხვევაში, *დაკავებული პირები*

[164] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

[165] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე, 13.04.2023, ხელმისაწვდომია: https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-gancxadeba-7-9-martis-aqciebtan-dakavshirebit-mimdinare-gamodziebis-taobaze/314.

[166] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245.

[167] საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, 13.08.2023, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-rustavelis-gamzirze-2023-tslis-7-9-marts-ganvitarebul-movlenebs-ekhmianeba.

მიუთითებდნენ დაკავების უხეშ ფორმებზე და აღენიშნებოდათ დაზიანებები. ასევე, ზოგჯერ ირღვეოდა მათი დაცვის უფლებაც.[168] მაშასადამე, შეინიშნება არაერთი ყურადღებამისაქცევი ტენდენცია, რომელიც აუარესებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საფუძვლით დაკავებულთა უფლებრივ მდგომარეობას. ქვემოთ, დამატებით, მიმოხილულია ეს ტენდენციები.

5.1. მასობრივი უსაფუძვლო დაკავებების პრაქტიკა

7-8 მარტს, მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პარალელურად, გამოვლინდა აქციის მონაწილეთა მასობრივი უკანონო დაკავებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მიმართ ძალადობის ფაქტები.[169] დემონსტრანტებს, უმეტესად, აკავებდნენ შემთხვევითობის პრინციპით, კერძოდ - არა კონკრეტულ სამართალდამრღვევ პირებს ინდივიდუალურად, არამედ ხშირად მათაც, ვინც აქციის დაშლის ოპერაციისას, უბრალოდ, „ხელში მოჰყვებოდათ“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 7-8 მარტს ადმინისტრაციული წესით სულ 146 პირი დააკავეს.[170]

საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით,[171] 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე დაკავებულთა ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე სულ 55 ზარი შევიდა. სახალხო დამცველმა მოინახულა 101 დაკავებული პირი, რომლებიც გადანაწილებულნი იყვნენ თბილისისა და სხვა რეგიონების დროებითი მოთავსების იზოლატორებში.[172] საიას ინფორმაციით, 09.03-13.03 (ჩათვლით) პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცხელ ხაზზე სულ 203 ზარი შევიდა,[173] რომლებიც 7-9 მარტს დაკავებული პირების ადგილსამყოფლის დადგენასა და მათთვის იურიდიული დახმარების გაწევას უკავშირდებოდა.

---

[168] იქვე.

[169] იხ. მაგ. ზურა ჯაფარიძის დაკავების ეპიზოდი, 08.03.2023, ხელმისაწვდომია: https://t.ly/t2Cmg [26.09.2023].

[170] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის წერილი №7230198118.

[171] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პასუხი №24/4023, 25/04/2023.

[172] ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო) – 1 პირი; ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო) – 18 პირი; ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №3 დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო) – 25 პირი; შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის გორის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 9 პირი; შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 9 პირი; შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 8 პირი; შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 4 პირი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის ბაკურიანის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 5 პირი; ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 2 პირი; კახეთის რეგიონული სამსახურის თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 7 პირი; კახეთის რეგიონული სამსახურის გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 6 პირი; იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) – 7 პირი.

[173] სს „სილქნეტის“ 2023 წლის 23 მარტის წერილი №1431/08-8.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი საიასთან ინტერვიუში აცხადებს:

> *„მოგეხსენებათ, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, თუკი არის ინციდენტური გადაცდომა მოქალაქის მხრიდან, ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ან დანაშაული. რა თქმა უნდა, პოლიციას ასეთ დროს შეუძლია ინდივიდუალური ზომების გატარება, მაგრამ უშუალოდ იმ ინციდენტში მონაწილე პირების, არა ყველას მიმართ. ამ შემთხვევაში კი დაკავეს ათეულობით ადამიანი, რომელთა ნაწილი, უბრალოდ, ესაუბრებოდა პოლიციელებს, კანონპროექტის მიმართ პროტესტს გამოხატავდნენ. მხოლოდ ვერბალური კომუნიკაცია იყო მათი მხრიდან, შეურაცხმყოფელი სიტყვებიც კი არ ყოფილა გამოყენებული და ასეთ შემთხვევებშიც კი აკავებდნენ მოქალაქეებს [...], რაც, ვფიქრობ, სხვა მონაწილეებში მსუსხავი ეფექტის გამოწვევას ისახავდა მიზნად“.*[174]

ასეთი პრაქტიკის არსებობაზე საიას მიერ გამოკითხული აქციის მონაწილეებიც მიუთითებენ. მაგალითად, ერთ-ერთი ადასტურებს, რომ დაკავებამდე ძირს დავარდნილი პოლიციელი ფეხზე წამოაყენა, შემდეგ ძირს დაცემულ სხვა ქალბატონსაც დაეხმარა, რა დროსაც:

> *„უეცრად ხელი მომკიდეს (პოლიციელებმა) და გამათრიეს. ვერ ვხვდებოდი დაკავების მიზეზს. რომ მეყვირა ან მეუზრდელა, შეიძლება ამის გამო გასჩენოდათ ჩემი დაკავების სურვილი, მაგრამ მსგავსი რამ არ ყოფილა. რაიმე ფორმალური მიზეზიც კი არ ჰქონდათ დაკავების. უბრალოდ, ადამიანები დაგვაკავეს, რომ შევეშინებინეთ“.*[175]

მსგავს გარემოებებს იხსენებენ სხვა მოქალაქეებიც:[176]

> *„8 მარტს მარტო მივედი აქციაზე. დაახლოებით ღამის 03:00 საათი იქნებოდა. 10 წუთიც ვერ გავჩერდი აქციაზე, მალევე დამაკავეს. მე რომ მივედი, ხალხიც ცოტა იყო დარჩენილი. არც რაიმე არეულობა არ ხდებოდა. [...] გზის გახსნა ჰქონდა პოლიციას დაწყებული და ამ დროს ამიყვანეს. ქაშუეთთან, ჩასასვლელთან ვიყავი. რუპორით საპოლიციო ღონისძიებების შესახებ მოწოდებებიც აღარ იყო. გზაზე ვიდექი, როდესაც გზის გახსნა დაიწყეს. პოლიციის ნაკადი რომ წამოვიდა, გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, მეც შემოვტრიალდი და წასვლა დავაპირე. ცოტა ნელა მივდიოდი. ერთი პოლიციელი დამეწია ამ დროს, ხელი მკრა - ცოტა ჩქარა წადიო. მივტრიალდი და ღიმილით ვუთხარი - რა საჭიროა, ისედაც მივდივარ-მეთქი. ამ დროს მეორე პოლიციელმა - შენ რაღაც ბევრს ლაპარაკობ და ხომ არ გინდა, წაგიყვანოთო? ვკითხე, სად და რატომ უნდა წამიყვანოთ-მეთქი. მაგას მერე გეტყვით, რომ გადაგიყვანთო. გადამიყვანეს, მაგრამ ამის მიზეზი არ აუხსნიათ“.*[177]

მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩენილ ადამიანებს პოლიცია უსაფუძვლოდ აკავებდა და ამ გზით ცდილობდა მათგან ტერიტორიის გათავისუფლებას. აქციაზე დაკავეს სხვადასხვა

---

[174] სახალხო დამცველის წარმომადგენლის, გვანცა ჩხაიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[175] აქციის მონაწილე ჯანო მუმლაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[176] აქციის მონაწილე დავით სამხარაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; აქციის მონაწილე გ.მ-ის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; აქციის მონაწილე ლ.ს-ის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[177] აქციის მონაწილე მ.შ-ს მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელიც.[178] აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები **აჭარბებდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და აქციის მონაწილეების უმრავლესობის დაკავებას ჰქონდა არაკანონიერი ხასიათი.**

5.2. დაკავების თანმხლები არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

მარტის აქციების დროს გამოვლინდა დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებიც.[179] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საიასთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 7-9 მარტს აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე სამსახურში 124 შეტყობინება შევიდა, რომლებიც აქციის მონაწილეებისა და ცალკეული ჟურნალისტების უფლებების დარღვევას ეხებოდა. წერილში ასევე მითითებულია, რომ 8 მარტს სამსახურმა დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან 2023 წლის 7-8 მარტს ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[180]

სახალხო დამცველის ინფორმაციით, დემონსტრანტები მიუთითებდნენ, რომ ისინი არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ როგორც დაკავების პროცესში, ისე დაკავების შემდეგაც, რაც გამოიხატებოდა, მათ შორის: **1. დაკავების დროს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში;[181] 2. გადაყვანის დროს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში,** მაგალითად, ერთ-ერთს პოლიციელმა შეაფურთხა კიდეც.[182] ასევე, წყაროებზე დაყრდნობით იკვეთება **ძალის გამოყენების მუქარაც.**[183] გამოვლინდა ასევე **სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მხრიდან არასათანადო**

[178] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი მუმლაძე და ყოფილი წევრი ნიკა ობოლაძე; „გირჩი - მეტი თავისუფლება“, დამფუძნებელი და ლიდერი ზურა ჯაფარიძე.

[179] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პასუხი №24/4023, 25/04/2023.

[180] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილი №6 23 00007302, 28.04.2023.

[181] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პასუხი №24/4023, 25/04/2023. მაგალითად, პირის თქმით, ის 8 მარტს, დაახლოებით 02:00 საათზე, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს, რა დროსაც ძირს დააგდეს, მოექცნენ დამამცირებლად, კერძოდ, „აფორთხიალეს მიწაზე“ და ჩამოახიეს ტანსაცმელი, მანქანაში ურტყეს კისრის არეში, რის შედეგადაც, განიცადა ძლიერი ტკივილი; სხვა პირის თქმით, ის დააკავეს 8 მარტს, დაახლოებით ღამის 2 საათზე. დაკავების დროს პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლები მუშტებს ურტყამდნენ სხეულზე; დაკავების დროს ასფალტზე ე.წ. „თრევის“ შედეგად ნეკნებზე მიყენებულ დაზიანებებზე საუბრობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატი ვიქტორ კვიტატიანი საიასთვის მიცემულ ინტერვიუში.

[182] იქვე. პირი დააკავეს 8 მარტს და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა გადაიყვანეს თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის სამმართველოში. მისი თქმით, მანქანაში ყოფნისას სამი პოლიციელი აგინებდა, ერთ-ერთი უღებდა ვიდეოს და ეუბნებოდა, რომ ვიდეოს დაამონტაჟებდნენ და დადებდნენ „ფეისბუქზე“. სამმართველოში მიმდინარეობდა მისი დაკითხვა. ერთი პოლიციელი აგრძელებდა ვიდეოს გადაღებას, ხოლო მეორე აწვებოდა ფეხზე, ნეკებზე, რათა სასურველი ჩვენება მიეღო. დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის წინ კი, კრიმინალური პოლიციის თანამშრომელმა, ვინმე ზურამ, გააფრთხილა, რომ, თუ ვინმეს ეტყოდა განყოფილებაში მომხდარ ამბავზე, გაამწარებდნენ და ვისაც უამბობდა, მასაც „არ გაახარებდნენ“.

[183] იქვე.

მოპყრობა.[184] დამატებით, არასათანადო მოპყრობას[185] შეიძლება გაუტოლდეს ე.წ. **ხამუთის (ცალუღის) მჭიდროდ დადების პრაქტიკაც**,[186] ვინაიდან მჭიდროდ დადებულმა ხელბორკილმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შეშუპება, დალურჯება, სიწითლე, ხელის დაბუჟება და სხვა ნერვული დაზიანება, რამაც, კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება მიაღწიოს არასათანადო მოპყრობის ხარისხს.[187]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციების თანახმად, 7, 8 და 9 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს საპროტესტო აქციებზე დაკავებული 96 პირი. რამდენიმე მათგანი მიუთითებდა პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე. სახალხო დამცველის რწმუნებულების მხრიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე შევიდა შეტყობინება 3 პირის თაობაზე.[188]

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა **X პირთან**[189] დაკავშირებით**, რომელიც 8 მარტს მრავლობითი დაზიანებებით შეიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.**[190]

სპეციალური დანიშნულების რაზმის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებს საიას დაცვის ქვეშ მყოფი პირი გ.მ-ც, რომლის თქმით, დაინახა, როგორ სცემდნენ პოლიციელები ერთ ადამიანს. იგი მივიდა მათთან, ჰკითხა, რატომ სცემდნენ და დაიწყო ტელეფონით გადაღება. ამის შემდეგ გ.მ. ადმინისტრაციული წესით დაიკავეს. მის მიერ აღბეჭდილ ფაქტთან დაკავშირებით საიამ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, მიაწოდა ვიდეოც და ითხოვა გამოძიების დაწყება პოლიციელის მხრიდან ძალის გადამეტებაზე.[191]

საიას მიერ გამოკითხული ადვოკატები ასევე მიუთითებენ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობაზე.[192] სამართალდამცავების მიერ დემონ-

---

[184] იქვე. დაკავებულმა პირმა 9 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბრისას აღნიშნა, რომ 9 მარტის ღამის საათებში მეგობართან ერთად იმყოფებოდა პარლამენტთან, 9 აპრილის ქუჩის მხარეს. უყურებდა აქციის მონაწილეებს, რომლებიც ქვებს ისროდნენ პარლამენტის მიმართულებით. ამ დროს მასთან მივიდა დაახლოებით 20 სპეცრაზმელი და უმიზეზოდ დაუწყეს ცემა, დააგდეს ძირს, ურტყამდნენ ხელკეტებსა და ფეხებს, რა დროსაც გაუტყდა ცხვირი. პირმა აღნიშნა, რომ სურდა, ამ ფაქტზე გამოძიების დაწყება. კიდევ ერთ პირს სახალხო დამცველის რწმუნებული 8 მარტს გაესაუბრა, რა დროსაც მან აღნიშნა, რომ 7 მარტს, დაახლოებით 23:00 სთ-ზე, იმყოფებოდა პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მშვიდობიან აქციაზე, რა დროსაც ე.წ. „რობოკოპებმა“ ხელებითა და ხელკეტების გამოყენებით მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, შემდეგ კი დააკავეს.

[185] იქვე. პირი აღნიშნავდა, რომ დაკავების შემდეგ ხელები შეუკრეს პლასტმასის ხელბორკილით (ე.წ. ხამუთით) ძალიან მჭიდროდ, რამაც გამოიწვია ტკივილი. ისინი ეკეთა, დაახლოებით, 3 საათის განმავლობაში. პირმა აღნიშნა, რომ სურდა ამ ფაქტებზე გამოძიების დაწყება.

[186] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატ ვიქტორ კვიტატიანის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[187] ცალუღის დადებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები იხ. საიას ანგარიშში „დაკარგული თვალის მიღმა“, 2019, 52-3.

[188] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პასუხი №24/4023, 25/04/2023.

[189] “X” აღნიშვნა არის პირობითი, კონფიდენციალურობის მიზნიდან გამომდინარე და გულისხმობს ერთ კონკრეტულ პირს.

[190] იქვე.

[191] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[192] იხ. მათ შორის, „უფლებები საქართველოს“ ადვოკატ ნინო ხეცაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატ ვიქტორ კვიტატიანის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

სტრანტებისთვის, მათ შორის, პოლიტიკოს ზურაბ ჯაფარიძისთვის მიყენებულ დაზიანებებს საიასთან ინტერვიუში იხსენებს ერთ-ერთი ადვოკატი:

> *„**დაზიანებები ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა პირებმა დაკავების დროს მიიღეს**. მაგალითად, ერთი ბიჭი დააკავეს, მანქანაში შეაგდეს და ცხვირიდან სისხლი ადინეს, მუშტები ურტყეს. ზურა ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის ვიდეოც გავრცელდა, რომ სპეცრაზმი ურტყამს, მერე შიგნით შეათრევენ და იქაც მაგრად ურტყამენ ხელკეტებს და წიხლებს. ნიკას ტვინის შერყევა ჰქონდა, ზურას მრავლობითი თავის ტრავმა და ყბის ტრავმა, დიმიტრისაც თავის არეში ჰქონდა დაზიანებები, ასევე ცხვირიდან სისხლი ადინეს. ზურა ჯაფარიძეზე დაზარალებულის სტატუსს ვითხოვ, რაც არ დამიკმაყოფილეს, მასალების გაცნობასაც ვითხოვდი და ისინიც არ გადმომცეს. იგივე მოხდა ნიკა მოსიაშვილის საქმეზეც. [...] დაიბარეს და გამოჰკითხეს, მაგრამ დაზარალებულად არ ცნობენ. რეალურად, ფორმალურად თაროზე უდევთ ეს საქმეები“.[193]*

5.3. დაკავების მიზეზები და დაკავებულთათვის უფლებების განმარტება, ზარის განხორციელების უფლება

2019 წლის 20 ივნისის მოვლენების მსგავსად,[194] სამართალდამცავებს არ გაუუმჯობესებიათ მიდგომები დაკავებულ პირთათვის უფლებების განმარტების კუთხით. ამ ხარვეზის თაობაზე არაერთი დაკავებული და მათი ინტერესების დამცველები მიუთითებდნენ.[195] რამდენიმე დაკავებულმა აღნიშნა, რომ ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაც კი არ მიეცათ.

ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, თავად პოლიციელებიც ადასტურებდნენ სხდომებზე, რომ დაკავებულებს უფლებებს არ განუმარტავდნენ:

> *„არგუმენტად ასახელებდნენ, რომ ამის დრო არ იყო. თუმცა, ეს დაუშვებელია, დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზები. მას უნდა განემარტოს ყველა მისი უფლება, მაგალითად, რომ აქვს ადვოკატის ყოლის, ასევე, ერთი ზარის განხორციელების უფლება და სხვა“.[196]*

ქვემოთ იხილეთ ამონარიდები სხვა დაკავებულთა ინტერვიუებიდან, რომლებშიც ნათლად ჩანს როგორც დაკავების მიზეზებისა და საფუძვლების, ისე უფლებების და ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობის შეზღუდვები:

---

[193] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ადვოკატ გიორგი ტაბატაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[194] „დაკარგული თვალის მიღმა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, ხელმისაწვდომია: https://bitly.ws/VxGR [28.09.2023].

[195] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ადვოკატ გიორგი ტაბატაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; საიას ადვოკატ ცირა ჯაჯანაშვილის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[196] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

„დაკავების მიზეზი არავის განუმარტავს. დაკავების მომენტშიც კი ვფიქრობდი, რომ აქციიდან ჩემს გარიდებას ცდილობდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ნახევარი ან ერთი საათით გამაჩერებდნენ და გამიშვებდნენ. არც უფლებების შესახებ უთქვამს ვინმეს რამე“.[197]

„[...] ვუთხარი (პოლიციას), რომ ჩემი უფლებები გაეცნოთ. ერთ-ერთმა დაიწყო, თქვენ გაქვთ დუმილის უფლებაო და მანდ „გაჭედა“. გააგრძელე, გააგრძელე-მეთქი, ვეუბნებოდი და, რომ ვერ გააგრძელა, ამაზე ორივემ ვიცინეთ. საუბარი ჩემი ძლიერი მხარე არ არისო, მითხრა [...]“.[198]

„ჩემი უფლებები არავინ გამაცნო. რა კითხვებიც მქონდა, იმაზეც არავინ მიპასუხა. ჩემმა ახლობლებმა 12 საათამდე არ იცოდნენ, სად ვიყავი [...]“.[199]

დაკავებულთა ინტერესების დამცველი ერთ-ერთი ადვოკატი აღნიშნავს, რომ დაკავებული პირები დაკავების ოქმის შევსებისას ხელს აწერენ იმაზეც, რომ მათ უფლებები გააცნეს. რეალურად კი, ისინი ფორმალურად აფიქსირებენ ოქმზე ხელმოწერას, რომ მათთვის ეს ყველაფერი ცნობილია (ოქმში ცალკე ფურცლად არის ჩამოწერილი, რა უფლებები გააჩნიათ დაკავებულებს). ადვოკატის თქმით, პრაქტიკაში ვერბალურად არც აღნიშნულის და არც დაკავების მიზეზის განმარტება არ ხდება.[200]

5.4. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენასთან დაკავშირებული ხარვეზები

ა) არასწორად მითითებული დაკავების დრო

არაერთ საქმეში შეინიშნებოდა სხვაობა დაკავების რეალურ და ოქმში მითითებულ დროებს შორის. ერთ-ერთი გამოკითხული ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან დაკავშირებით ყოველთვის იყო ამგვარი აცდენა, რისი ვიდეომტკიცებულებებიც არსებობს.[201] მისი თქმით, დროებს შორის განსხვავება, დაახლოებით, ნახევარ საათს - ორმოც წუთს შეადგენდა.[202]

ბ) ადმინისტრაციული დაკავების განმახორციელებელი სამართალდამცავები - ოქმებში მითითებული გაყალბებული ინფორმაცია

საიასთვის მიცემულ არაერთ ინტერვიუში აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში დაკავების განმახორციელებელ პირად მითითებული ადამიანის მონაცემები ზოგჯერ ყალბია. მაგალითად, ერთ-ერთი ადვოკატი მიუთითებს, რომ შეესწრო ე.წ. დამკავებლების განაწილების პრაქტიკას. მისი თქმით, ფიქციურად ხდებოდა უკვე დაკავებულ პირებთან მიმართებით ოქმის შედგენის მიზნებისთვის „დამკავებელი“ პირების განაწილება:

---

[197] აქციის მონაწილე დავით სამხარაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[198] ჟურნალისტ ზურა ვარდიაშვილის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[199] აქციის მონაწილე ლ.ს-ს მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[200] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატ ვიქტორ კვიტატიანის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[201] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[202] ეს შეინიშნებოდა გ.მ-ის, გ.ჭ-ისა და ზურა ვარდიაშვილის საქმეებში.

„რაც შეეხება პოლიციის შენობაში მიმდინარე მოვლენებს, მე გზატკეცილზე ვიმყოფებოდი. სრული ქაოსი იყო. ***დამკვებლების განაწილება ხდებოდა ისე, როგორც ლატარიაში. ისმოდა, შენ იქნები ამის დამკვებელი, შენ - იმის. ამ პრინციპით მიმდინარეობდა მოვლენები.*** *რაღაც აბსურდის თეატრია. პოლიციელებს ოქმების შედგენა უჭირდათ. ყველა ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული. იქიდან კარნახობდნენ, რა უნდა დაეწერათ და ამას ძალიან დიდი დრო მიჰქონდა".*[203]

დაკავებული პირები საიასთვის მიცემულ ინტერვიუებში ასევე მიუთითებდნენ **„დამკავებელი პირების" ფიქციური განაწილების პრაქტიკის თაობაზე.**

„დაკავებამ კომიკური ხასიათი მიიღო. კრიმინალური პოლიციის და პატრულის თანამშრომლები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: არა, შენ ხარ ამის დამკავებელი, არა - შენო. ამაზე სიცილი ამიტყდა და ბოდიშიც მომიხადეს, გავარკვევთო. შემდეგ ვიღაც მესამე მოიყვანეს, ეს იქნება შენი დამკავებელიო. ძალიან სასაცილო სიტუაციაში ჩავვარდი".[204]

„[...] მერე ვიღაც ადამიანი მოვიდა და მეკითხება, შენ დამკავებელი გყავს თუ არაო. მე ვუთხარი, არ ვიცი, არ მყავს-მეთქი. არც ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს დამკავებელი. მერე როგორც გავიგე, ეს ის ადამიანი ყოფილა, რომელმაც აქციაზე „დამაკავა". მერე მითხრა, კარგი, მაშინ მე ვიქნები შენი დამკავებელიო. მიმიყვანა ადგილას, სადაც რაღაც საბურავებზე ფიცარი ედოთ და ოქმებს ადგენდნენ. დაწერა, რომ თურმე მე ვილანძღებოდი და პოლიციელებს წინააღმდეგობას ვუწევდი. კიდევ რაღაცები ეწერა და მეუბნებოდა ამაზე ხელი მოაწერეო".[205]

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შინაარსის მითითებასთან დაკავშირებული ხარვეზები

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენა ხდებოდა შაბლონურად და მწირი ინფორმაციით. კერძოდ, საქმეებში წარმოდგენილი ოქმები ერთმანეთის მსგავსია და ზოგად შინაარსს შეიცავს. უმეტესად, არ არის დაკონკრეტებული, რაში გამოიხატებოდა პირის მხრიდან სამართალდარღვევა. მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობის დროს, როდესაც ოქმში, ზოგადად, მითითებული იყო გინებასა და ლანძღვაზე, ნათქვამის შინაარსი არ კონკრეტდებოდა[206] და მისი დაზუსტება ზოგჯერ პროცესზეც ვერ ხერხდებოდა.[207]

[203] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" ადვოკატ გიორგი ტაბატაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[204] აქციის მონაწილე იმედა კლდიაშვილის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[205] აქციის მონაწილე ჯანო მუმლაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[206] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[207] საიას ადვოკატ ცირა ჯაჯანაშვილის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

5.5. დაკავების ვადის გახანგრძლივება

ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს. მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათისა. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი წერილობით ასაბუთებს ადმინისტრაციული დაკავების ვადის გაზრდის მიზანშეწონილობას.[208]

2023 წლის 7-8 მარტს, უმეტესად, სწორედ გახანგრძლივებული ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა გამოვლინდა იმ საქმეებში, რომლებსაც სამოქალაქო საზოგადოება აწარმოებდა.[209] ვადის გაზრდის აუცილებლობა, ხშირ შემთხვევაში, არ იყო საკმარისად დასაბუთებული. ადვოკატები ამის თაობაზე საიასთვის მიცემულ ინტერვიუებშიც მიუთითებენ.[210]

5.6. სასამართლოს მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე

ა) მტკიცებულებების მოსაპოვებლად არასაკმარისი დრო

პრობლემური იყო დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არაგონივრული ვადის, მხოლოდ 2-3 საათის მიცემა მაშინ, როდესაც ზოგიერთი ადვოკატი სასამართლოში პირველად ხვდებოდა თავის დაცვის ქვეშ მყოფს, უნდა გასაუბრებოდა მას, მოეძიებინა ვიდეომასალა და საჭირო მტკიცებულებები.[211] ქვემოთ მოცემულია ამონარიდი ერთ-ერთი ადვოკატის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუდან, რომელიც კარგად აჩვენებს ამ პროცესის მთლიან ჯაჭვს:

> ***„მტკიცებულებების მოსაპოვებლად დრო არ იყო გონივრული.*** *მაგალითად, გ.ჭ-ს პროცესი რომ დაიწყო, მოსამართლეს ვუთხარი, რომ ამ პირს პირველად ვხედავდი და მტკიცებულებების მოსაპოვებლად დრო მჭირდებოდა. რამდენი საათი გინდათო, გვკითხა. ამ დროს უკვე საღამოს რვა საათი იყო. დასარეკი იყო მოწმეებთან, გასარკვევი იყო იმყოფებოდნენ თუ არა ქალაქში. ნომრის მოპოვების პრობლემაც არის ამ დროს, რადგან ბენეფიციარებს ტელეფონებიც ჩამორთმეული*

---

[208] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 247 (1,2).

[209] იხ. საიას მოწოდება: https://www.facebook.com/photo/?fbid=589476913224335&set=a.485094690329225, 08.09.2023 [26.09.2023].

[210] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ: *„მნიშვნელოვანი საკითხია,* ***დაკავების ვადის გახანგრძლივება*** *რა ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარეობდა. თუ ამბობ, რომ მტკიცებულების მოპოვების მიზნით გჭირდება ვადის გახანგრძლივება და ამ დროს სასამართლოზე წარმოადგენ სამართალდარღვევის ოქმს, დაკავების ოქმს, რომელიც პოლიციელის შედგენილია, პირის ამონაწერს - პირად მონაცემებს, რომელიც პოლიციელისთვის ისედაც ხელმისაწვდომია და მეტი მტკიცებულება არ გაქვს, რის საფუძველზე ახანგრძლივებ 24-საათიან ვადას. თუ ამბობ, რომ მტკიცებულება უნდა მოგეპოვებინა, მაშინ ის საქმეში უნდა იყოს წარმოდგენილი";* „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" ადვოკატ გიორგი ტაბატაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ: *„მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის პრაქტიკა, თითქოს მტკიცებულებების მოსაგროვებლად აგრძელებენ დაკავების* ***24-საათიან ვადას****. თუმცა, რეალურად, გახანგრძლივების საფუძველი არ არსებობს. ზოგ შემთხვევაში, ერთ სრულიად არარელევანტურ ვიდეოს დებენ და ზოგიერთ საქმეში საერთოდ არანაირ ახალ მტკიცებულებებს არ წარმოადგენენ. ძალიან ბოროტად იყენებენ 48 საათამდე ვადის გახანგრძლივების უფლებას".*

[211] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ადვოკატ ვიქტორ კვიტატიანის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; „უფლებები საქართველოს" ადვოკატ ნინო ხეცაძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

აქვთ, მხოლოდ პირადი კომუნიკაცია შეუძლიათ ადვოკატებთან. შუამდგომლობით, ტელეფონები დავაბრუნებინეთ. მერე დავურეკეთ მოწმეს. ამ დროს არ გაქვს იმისი დრო და საშუალება, რომ „ლაივი“ (ჩანაწერები) ნახო. დიდი წნეხი იყო. ამას ბენეფიციარი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. ამ ყველაფერს შესაბამისი მზაობა სჭირდება როგორც მატერიალურად, ისე გონებრივადაც. ერთი ადამიანი მეუბნებოდა, მე რომ დამაკავეს, იმ დროს დააკავეს ესა და ეს ბენეფიციარიო. მერე ვჰოულობდი ამ ბენეფიციარის ახლობელს, რადგან თავად ის ბენეფიციარიც სასამართლო პროცესებში იყო ჩართული, ამიტომაც არ აქვს დრო, რომ დაკავების ვიდეო გამოგვიგზავნოს. ამ დროს უკვე არის საღამოს 11 საათი. მოსამართლეს ვეუბნები, ვიდეო მაქვს, მაგრამ ვერ ჩავწერ-მეთქი. ამ შემთხვევაში, რეალურად, მოსამართლე დაგვეხმარა. მისმა სხდომის მდივანმა ჩაგვიწერა ვიდეოები და მოგვცა. ამას ვერასოდეს ვერცერთი ბენეფიციარი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. სასამართლო მტკიცებულების ძალასაც არ ანიჭებს ვიდეოს, ტელეფონში რომ აჩვენო, თუ არ მიუტან და საქმეს არ დაურთავს.

პროცესების გადადებას ვითხოვდით, მაგრამ მოსამართლემ არც ერთი პროცესი გონივრული ვადით არ გადადო. გვეკითხებოდა, რამდენი საათით გინდათ გადადებაო. მოსამართლის პოზიცია ასეთი იყო, რომ პროცესის გადადება მხოლოდ რამდენიმე საათით შეეძლო. მანამდე კი სხვა პროცესებს დაიწყებდა. სასამართლო პირდაპირ, გადაჭრით მეუბნებოდა, თუ მინდოდა, ამ პერიოდში უნდა მომეპოვებინა მტკიცებულება, თუ არადა, მტკიცებულებების გარეშე გააგრძელებდა განხილვას. აი ასე, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე მოსამართლე ამ მდგომარეობაში გვაყენებდა. ამის პარალელურად, დაკავებულები არიან სასამართლოს საკნებში. მოსამართლე რომ გეუბნება პროცესს გადავდებო, ხურავს ამ დროს პროცესს და სანამ ბენეფიციარს უკან, საკანში დააბრუნებენ, მხოლოდ 2 წუთი გაქვს. ამ დროს ბენეფიციარს არც კი ათავისუფლებს“.[212]

ბ) სასამართლო პროცესის გამართვის დრო

ადვოკატები ასევე წუხილს გამოთქვამდნენ სასამართლოს მიერ პროცესების ღამით ჩატარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, არ იცოდნენ, კონკრეტულად როდის დაიწყებოდა მათი სხდომა და საათობით უწევდათ ლოდინი.[213]

გ) უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე

მოსამართლე ვალდებულია, გადაწყვეტილების დასაბუთება ობიექტურ გარემოებებს დააფუძნოს. საფუძვლები, რომლებსაც გადაწყვეტილება ეყრდნობა, საკმარისად ცხადი უნდა იყოს, რათა პირმა ეფექტიანად გამოიყენოს გასაჩივრების უფლება.[214]

სასამართლოს აქტებში არ ყოფილა გამოკვეთილი ერთი ქმედება მაინც, რომელიც აღწერდა, რა ჩაიდინა სამართალდამრღვევმა. არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს დადგენილებებში არ არის მოცემული ექსპლიციტური დასაბუთება სამართალდამრღვევების მთავარ კითხვაზე, რა ქმედებით ჩაიდინეს მათ ადმინისტრა-

[212] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[213] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატ ვიქტორ კვიტატიანის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; საიას ადვოკატ ცირა ჯაჯანაშვილის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.
[214] *Hadjianastassiou v. Greece*, no. 12945/87, § 33, 16/12/1994.

ციული სამართალდარღვევა. შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთება მოკლებულია საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არგუმენტებზე მსჯელობას, რაც შეუთავსებელია როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირს აკავებენ აქციაზე, მაშასადამე, იგი ამ დროს კონვენციური უფლებების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ სასამართლოს დასაბუთება არ იყოს ავტომატური ან სტერეოტიპული.[215] მოცემულ შემთხვევაში, დადგენილებები, უმეტესწილად, იყო სტერეოტიპული, ვინაიდან არ ჩანდა, რა ჩაიდინა კონკრეტულმა სამართალდამრღვევმა. ზოგან არ არის აღწერილი არც ერთი ქმედება და არ არის მითითება არც ერთ დაზარალებულ პირზე. მაგალითად, სასამართლო დადგენილებებში მხოლოდ ასახულია სამართალდარღვევის შესაბამისი მუხლი და არის ზოგადი ჩანაწერი, რომ *„შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს ჰქონდა ადგილი როგორც პოლიციის მიმართ, ისე - ზოგადად. ასევე კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლას“.* [216]

სასამართლოების მიერ ობიექტური მტკიცებულების მოპოვება - სამხრე კამერის ჩანაწერები. პოლიცია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ფორმის ტანსაცმელზე დაამონტაჟოს/განათავსოს და გამოიყენოს ფოტო-ვიდეო ტექნიკა ან მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ტექნიკური აღჭურვილობა. ნეიტრალური მტკიცებულების საჭიროებიდან გამომდინარე, აქციებზე, სადაც, მოქალაქეთა დაკავების მომეტებული რისკი არსებობს, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავებმა იქონიონ სამხრე კამერები და ჰქონდეთ ის ჩართული.

სასამართლო, როგორც წესი, არ ზრუნავს ობიექტური მტკიცებულებების მოპოვებაზე, კერძოდ, არ სთხოვს შსს-ს თანამშრომლებს, წარმოადგინონ, მაგალითად, სამხრე კამერების ჩანაწერები. ადვოკატების თქმით, სამხრე კამერების ჩანაწერების წარმოდგენას ითხოვდნენ, თუმცა, ძირითად შემთხვევებში, პოლიციელებს, დამკავებელ პირებს ისინი არ ჰქონდათ. შსს-ს წარმომადგენელთა არგუმენტით, მათ მოიხსნეს კამერები, რათა აქციის მიმდინარეობისას არ დაზიანებულიყო,[217] ზოგი კი აცხადებდა, რომ კამერა მოსძვრა, დაუვარდა, ან არ ჰქონდა ჩართული.[218]

---

[215] *Moreira Ferreira v. Portugal* (No.2) no. 19867/12, § 84, 11/07/2017.

[216] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №4/1505-23, მოსამართლე ნინო შჩერბაკოვი; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №4/2241-23, მოსამართლე ნინო შჩერბაკოვი; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №4/2242-23, მოსამართლე ნინო შჩერბაკოვი; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №4/1935-23, მოსამართლე ნინო ენუქიძე; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე №4/ა-631-23, მოსამართლე ნინო შარაძე; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №4/2238-23, მოსამართლე ნინო შჩერბაკოვი.

[217] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატ ვიქტორ კვიტატიანის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ; საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[218] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

5.7. გამოყენებული სანქციები

საიამ შეისწავლა და გააანალიზა 2-3 და 7-9 მარტს ადმინისტრაციული წესით დაკავებული 47 პირის საქმე, რომელთა ინტერესებსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები წარმოადგენდნენ. გამოირკვა, რომ ყველა მათგანს შსს ედავებოდა ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობას და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას. ამ საქმეებიდან ორივე მუხლთან მიმართებით სასამართლომ სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა 15 პირს, 4 შემთხვევაში გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა და ერთ-ერთ მუხლზე შეწყვიტა საქმის წარმოება, ხოლო ჯარიმა დააკისრა 28 პირს. ჯარიმის ოდენობა, ძირითადად, მერყეობდა 2000-2300 ლარის ფარგლებში. სასამართლომ მხოლოდ 1 შემთხვევაში გამოიყენა 700-ლარიანი ჯარიმა.

5.8. პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავება

რამდენიმე საქმეში[219] გამოვლინდა პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტები, კერძოდ, შეტყობინების რეგისტრაციის დოკუმენტში მოცემული იყო სხვა დაკავებული 43 პირის სახელი, გვარი, დაბადების წელი და დაკავების საფუძველი. ამასთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცნო სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

საიას წარმოებაში არსებულ სხვა საქმეებშიც გამოვლინდა მსგავსი შემთხვევები.[220] ამგვარი ფაქტების თაობაზე საიასთვის მიცემულ ინტერვიუებში მიუთითებენ ადვოკატებიც:

> *„პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავების ფაქტიც შეგვხვდა საქმეებში. ერთი მტკიცებულება იყო ყველა საქმეში ჩადებული, სადაც ყველა დაკავებული პირის (36 დაკავებულის) მონაცემები იყო: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მუხლები, რომლებითაც იყვნენ დაკავებულები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მივმართეთ სამი საჩივრით. მოლოდინი გვაქვს, რომ დადგინდება პერსონალური მონაცემების არასათანადოდ დამუშავების ფაქტი“.*[221]
>
> *„ერთ საქმეში გვაქვს ასეთი შემთხვევა: საქმეს თან ერთვის ჰატაკი, რომელშიც მოთხრობილია, რა ხდებოდა 8 მარტს და კონკრეტული პირები რას აკეთებდნენ დაკავებამდე. შემდგომ კი მითითებულია მათი სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი და დაკავების მუხლები“.*[222]

[219] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილება №გ-1/126/2023.

[220] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, №4/1935-23 საქმესთან დაკავშირებული მასალები.

[221] საიას ადვოკატ ილონა დიასამიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.

[222] სოციალური სამართლიანობის ცენტრის ადვოკატ მარიამ პატარიძის მიერ საიასთვის მიცემული ინტერვიუ.